ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Alkhali Taoba

დაავადებათა კონტროლის ცენტრმა 8 ყველაზე არაჯანსაღი პროდუქტი დაასახელა

გვ.5

ოთხშაბათი, 30 აგვისტო, 2017 №205 (7440) ფასი: 50 თეთრი

„დასავლეთ საქართველოს სრული კატასტროფა ემუქრება“

„ქვეყნის სათავეში ქართული წარმოშობის აღა მაჰმად ხანები არიან“

გვ.4

თამარ იოვაშვილი: „დავით სერგეევიჩმა ზაზა სოფრომაძე სასწრაფოდ უნდა გადააყენოს“

„სოციალური აგენტები უსახლკაროებს ფაშისტებივით ექცევიან“

— გვ. 3 —

გიორგი გაჩეჩილაძე: „4.300-ზე მეტი ჰექტარი ტყეა ხანძრებით განადგურებული“

— გვ. 2 —

„საქართველოში გაჩენილი ხანძრები დივერსიის შედეგია?!“

გვ.8

ახლო აღმოსავლეთში, შესაძლოა, საქართველოდან წასული ობოლი ბავშვებიც აღმოჩნდნენ

ცვლილებები, რომლებიც 1-ლი სექტემბრიდან ამოქმედდება

გვ.6

როგორ ახშობდნენ „ამერიკის ხმას“

რეპორტაჟი ბაზალეთის ტბასთან მდებარე ძველი საიდუმლო რადიოსადგურიდან

გვ.5



ISSN 1987-9385

გვ.6

თიბისი კაპიტალი ტოპმენეჯერებმა დატოვეს

„თბილისში მოსახლეობის 70%-ს ახალი ბინის შეძენის საშუალება არ აქვს“

— გვ. 6 —

გიორგი გაჩეჩილაძე: „4.300-ზე მეტი ჰექტარი ტყეა ხანძრებით განადგურებული“

გულიკო ბალაძე

ცხელი აგვისტო და გაუთავებელი ხანძრები. ახის თუ ახა საქართველოში გაჩენილი ხანძრები დივერსიის შედეგი? პარლამენტის წევრი, მწვანეთა პარტიის ლიდერი გიორგი გაჩეჩილაძე „ახალ თაობასთან" აცხადებს, რომ ადამიანის ჩარევის გარეშე ხანძრის გაჩენა გამორიცხულია.

– რაც დრო გავა, სიტუაცია უფრო გამწვავდება. უფრო სერიოზული ეკოლოგიური პრობლემები იქნება, რადგან გლობალური დათბობა სწრაფი ტემპებით მიმდინარეობს. მაღალი ტემპერატურა, გვალვები ძალიან უწყობს ხელს იმგვარი პროცესების განვითარებას, რაც ახლა იყო ბორჯომის ხეობაში, – აცხადებს გიორგი გაჩეჩილაძე.

– ბატონო გიორგი, ბორჯომის ხეობაში გაჩენილი ხანძარი განსაკუთრებული შემთხვევა არ არის?

– არა. ბოლო 20 წლის განმავლობაში საქართველოში 300-მდე შემთხვევა მოხდა. ამ 300 შემთხვევიდან დაახლოებით 4.300-ზე მეტი ჰექტარი ტყეა ხანძრებით განადგურებული.

2014 წელს ხანძრის 69 შემთხვევა იყო, 2015 წელს – 62 შემთხვევა, 2016 წელს კი – 43 შემთხვევა. წელს 10 ხანძარი უკვე იყო. 2013 წელს მთლიანად მინდვრებსა და ტყეებში ხანძრის 281 შემთხვევა დაფიქსირდა. 2011 წელს კი – 602. ხანძრები ძირითადად აღმოსავლეთ საქართველოშია მომხდარი სხვადასხვა წერტილებში, მაგრამ ყველაზე გრანდიოზული ხანძარი იყო 2006 წელს აბასთუმანში, 500 ჰექტარი ტყე დაიწვა. ახლა რომ აცხადებენ, რატომ ვერ ჩააქრესო, მაშინაც ტყის მასივი დაახლოებით 1 კვირაზე მეტი ხნის განმავლობაში იწვოდა. ვერაფრით ჩააქრეს და მაშინაც უცხო ქვეყნებს მიმართეს დახმარებისთვის. მაშინაც დაეხმარნენ თურქეთი, უკრაინა, დიდი ბრიტანეთი და სხვები. სხვა ქვეყნები რომ არ დახმარებოდნენ, მთელი აბასთუმანი გადაიწვებოდა. 2010 წელს იყო აგრეთვე ბორჯომში ძლიერი ხანძარი და 15 ჰექტარი დაიწვა.

– ასე რატომ გართულდა ხანძრის ჩაქრობა?

– საქართველოს 2/3 მთიანი რელიეფია. ტყეების თითქმის 97% ფერდობებზეა განლაგებული, 40 გრადუსიანი დახრილობებით. ამიტომ გართულდა ხანძრის ლიკვიდაცია.

– თანამედროვე ტექნიკის თვალსაზრისით, მგონი, არაფერი გვაქვს.

– სხვადასხვა ტექნოლოგიები არსებობს. დრონების საშუალებით შეიძლება კონტროლი. შეიძლება სახელმწიფომ შეისყიდოს და იმ რაიონებს გადასცეს, რომელიც კრიტიკულ ვითარებაში დრონების საშუალებით გაკონტროლებს საწყის ეტაპზე თუ სადმე წარმოიშვა ხანძარი. ზოგიერთ ქვეყანაში თუ საფრთხე არსებობს, დროებით რეინჯერებს ქირაობენ. 2 თვის განმავლობაში ქირაობენ ადამიანებს, რომელთა ფუნქციაა კონტროლი. როცა პარლამენტის საშემოდგომო სესიები დაიწყება, ამ საკითხს განვიხილავთ.

– ამ სიტუაციაში ძალიან საინტერესოა, რა აჩენს ამ ხანძრებს. ხანძრის გაჩენის მიზეზების დადგენაა საჭირო.

– ხანძრების გაჩენა ძირითადად ადამიანების დამსახურებაა. ადამიანის გარეშე ხანძრის გაჩენა ძალიან იშვიათ შემთხვევაში ხდება.

– როგორც 2008 წლის ბორჯომის ტყის დაწვა არ მომხდარა მიზეზის გარეშე და რუსეთის მიზეზით გაჩნდა ხანძარი.

– 2008 წელს რუსეთის მიერ საჰაერო დარტყმის შედეგად 1100 ჰექტარ ტყეს მიადგა ზიანი. აქედან 950 ჰექტარი ბორჯომის ხეობაშია, დაახლოებით 125 ჰექტარი კი – ატენის ხეობაში. ბორჯომის ხეობაში 250 ჰექტარი განადგურდა, ატენის ხეობაში კი 50 ჰექტარი.

ტყის ხანძრების დროს ტემპერატურა 700-დან 1200 გრადუსამდე ადის. მეხანძრეებს უძნელდებათ ასეთი ვითარებაში მუშაობა და ხანძრის ჩაქრობა. ამიტომ ის ადამიანები გმირები არიან. საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად ახერხებენ ხანძრების ჩაქრობას. მათ მიმართ მეტი ყურადღების გამოჩენაა საჭირო.

– თქვენ განაცხადეთ, ხანძარი ძირითადად ადამიანის ჩარევით ჩნდებაო.

– ადამიანის ჩაურევლად ხანძარი იშვიათად მოხდება. აქედან გამომდინარე, მიზეზები გამოსაძიებელია, მაგრამ ეს მაინც ბუნებრივი პროცესია და ადამიანის დაუდევრობითაა გამოწვეული. ისეთი კლიმატური პირობების დროს, როგორიც ახლა არის, საკმარისია ვიღაცამ სიგარეტი გადააგდოს, ან მწვადი შეწვას, რომ ხანძარი გაჩნდეს.

– თქვენ აცხადებთ, რომ ხანძრის კერების გაჩენაში ადამიანის ხელი ურევია. დივერსიას გამორიცხავთ?

– სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ წელს საქართველოში უამრავი ხანძარი მოხდა. რა თქმა უნდა, არაფერს გამოვრიცხავ, მაგრამ მე უფრო იქით სებობს ადამიანის მიზეზით ხანძრის გაჩენის საკითხში. გამოძიება ამას დაადგენს. ადამიანები უნდა დაფიქრდნენ და გაუფრთხილდნენ ჩვენს ტყეებს

– როგორც გაირკვა, საქართველომ დახმარებისთვის რუსეთსაც მიმართა. რატომ გახდა საჭირო რუსეთისთვის მიმართვა? ჯერ კარასინმა და აბაშიძემ ისაუბრეს, შემდეგ შვეიცარიის მეშვეობით საქართველოს საგარეო უწყებამ ნოტა გააგზავნა, რაც მიუღებელ ქმედებად აღიქმება.

– ვფიქრობ, ეს გამომდინარეობდა იმ დიდი საფრთხეებიდან, რომელიც შეიძლება ბორჯომში განვითარებულიყო. ძალიან მძლავრი ტექნიკის ძიებაში აღმოჩნდა, რომ რუსეთს გააჩნია ამ დონის ხანძრის ჩაქრობის ყველაზე დიდი შესაძლებლობა. ამდენად, რუსეთისთვის მიმართვა იმ დონის საფრთხეებთან იყო დაკავშირებული, როდესაც სახელმწიფო არაორდინარულ გადაწყვეტილებას ღებულობს იმისათვის, რომ უზარმაზარი ტერიტორია გადაარჩინოს. ახლა ერთ ინფორმაციას მოგაწვდი, რომელიც არავისთვის მითქვამს.

– რას გულისხმობთ?

– 2006 წელს აბასთუმანში 500 ჰექტარი გადაიწვა. მაშინდელმა ხელისუფლებამაც მიმართა რუსეთს დახმარებისთვის. მაშინდელმა საგარეო საქმეთა სამინისტრომ განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა თურქეთისა და უკრაინის მთავრობებს, ასევე ბრიტანულ კომპანია ბიპის. ამ განცხადებაში წერია აგრეთვე, რომ საქართველო ასევე მადლიერია გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და რუსეთის ფედერაციისა, რომლებმაც აღმოუჩინეს დახმარება საქართველოს. ე.ი. საქართველომ მაშინაც მიმართა რუსეთს დახმარებისთვის.

– კი. მაგრამ, მაშინ 2008 წლის ომი არ იყო მომხდარი.

– 2004 წელს რა მოხდა?

– დიახ, 1992-93 წლების აფხაზეთის ომიც იყო მომხდარი, მაგრამ 2008 წლის ომმა ყველაფერი გაახლა და მტკივნეულად აღიქმება.

– რა თქმა უნდა, მტკივნეულად აღიქმება, მაგრამ როდესაც ქვეყანა დგას ასეთი ეკოლოგიური კატასტროფის წინაშე, ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ ხელისუფლებამ პრობლემა მოაგვაროს. კიდევ კარგი, ბორჯომ-ხარაგაულის ტყე-პარკზე არ გადავიდა ხანძარი, თორემ ისტორიული მასშტაბის კატასტროფა მოხდებოდა.

„საქართველოში გაჩენილი ხანძრები დივერსიის შედეგია?!“



დავით უსუფაშვილი: „სტრასბურში არ შემინიშნავს განსაკუთრებული ჰაერი, რომლის ჩასუნთქვის შემდეგ ადამიანები იცვლებიან“

– თბილისში, მიცკევიჩისა თუ რუსთაველის ქუჩებზე თუ რაიმე ვერ ხერხდება, ვერც სტრასბურში მოხერხდება.

ამის შესახებ „შენების მოძრაობის“ ლიდერმა დავით უსუფაშვილმა საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით დაკავშირებით დასმული კითხვის საპასუხოდ განაცხადა.

უსუფაშვილის განცხადებით, ის პროფესიით იურისტია და, გარდა ამისა, 4 წელი პარლამენტის თავმჯდომარე იყო, ამიტომ ძალიან კარგად იცის, თუ რას ნიშნავს ორი მოსმენით მიღებულ ტექსტთან დაკავშირებით დიალოგი.

– ორი მოსმენით მიღებულ ტექსტზე, რომელზეც ხელისუფლება ამბობს, რომ მას უკან არ დაუბრუნდება, დიალოგი რაზე უნდა გავმართოთ, რედაქტორები მივაშველოთ, რათა ტექსტის რედაქტირება მოხდეს?! ხელისუფლებას თუ მართლა დიალოგი სურდა ამ თემაზე, ახალი კონსტიტუცია სამი დღის განმავლობაში ორი მოსმენით არ უნდა მიეღო, – განაცხადა უსუფაშვილმა და დასძინა, რომ „2004 წლის თებერვალში მიხეილ სააკაშვილმა სწორედ ამით დაიწყო ქვეყნის ნგრევა“.

დავით უსუფაშვილის განცხადებით, ის პროცესი, რაც საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით წარიმართა, პოლიტიკური თამაშებია.

– აქედან გამომდინარე, არ ველი არანაირ ცვლილებას, არანაირ დიალოგს. ალბათ სექტემბრის ბოლოსკენ კონსტიტუციის მესამე მოსმენით მიღება მოხდება. რაც შეეხება საარჩევნო საკითხებს, მათზე ჯერ კიდევ არის დარჩენილი გარკვეული ტერიტორია შესაძლო დიალოგისთვის და ამ კვირის განმავლობაში ჩვენ გვექნება კონკრეტული წინადადებები, თუ რა შეიძლება ეშველოს კონკრეტულად საარჩევნო საკითხს, – განაცხადა უსუფაშვილმა.

რაც შეეხება 6 სექტემბერს სტრასბურში ვენეციის კომისიის მონაწილეობით მმართველ გუნდსა და ოპოზიციას შორის დაგეგმილ შეხვედრას, დავით უსუფაშვილის არ ფიქრობს, რომ სტრასბურში რაიმე განსაკუთრებულის მიღწევა მოხერხდება.

– სტრასბურში ბევრჯერ ვარ ნამყოფი და მინდა გითხრათ, რომ იქ არ შემინიშნავს რაიმე განსაკუთრებული ჰაერი, რომლის ჩასუნთქვის შემდეგ ადამიანები იცვლებიან და იწყებენ ჭეშმარიტების ზიარებას. თბილისში მიცკევიჩისა თუ რუსთაველის ქუჩებზე თუ რაიმე ვერ ხერხდება, ვერც სტრასბურში მოხერხდება, – განაცხადა უსუფაშვილმა.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„სოციალური აგენტები უსახლკაროებს ფაშისტებივით ექცევიან“

თამარ იოვაშვილი: „დავით სერგეენკომ ზაზა სოფრომაძე სასწრაფოდ უნდა გადააყენოს“

შორენა მარსაგიშვილი

ხა პიჩობებში ცხოვჩობენ უსახლკაჩოდ დაჩჩენილები თბილისში, ვინ აიძულებს მათ ეჩთმანეთზე „დანოსების" დანეჩას, ჩატომ უნდა დატოვოს თანამდებობა სოციალუჩი სააგენტოს ხელმძღვანელმა? – ამ თემებზე „ახალ თაობას" ოჩგანიზაცია „უმუშევაჩთა ჯავშიჩი დასაქმებისათვის" თავმჯდომაჩე თამაჩ იოვაშვილი ესაუბჩება.

თამარ იოვაშვილი:

– ხელისუფლება გვპირდება, რომ არჩევნების შემდეგ თბილისს სიცოცხლით სავსე ქალაქად გადააქცევს. თბილისი ვერასოდეს გახდება სიცოცხლით სავსე ქალაქი, სანამ უსახლკაროების პრობლემა იარსებებს.

ჩვენმა ორგანიზაციამ დაიწყო უსახლკაროების პირობების შესწავლა. ამჟამად სამგორის რაიონის მონიტორინგი დავასრულეთ. რაც იქ ვნახეთ, კატასტროფაა. ადამიანები რაღაც არანორმალურ პირობებში ცხოვრობენ. ამათ რომ ვუყურებ, ძალიან მიჭირს იმის დაჯერება, რომ ჩვენს ქვეყანას გეზი ევროპისკენ აქვს აღებული.

მათი საცხოვრებელი პირობებით ხომ გაოგნებული დავრჩი, მაგრამ არანაკლებ გამაოგნა იმან, თუ როგორ ექცევა ამ გაუბედურებულ ხალხს სახელმწიფო. ეს არის საშინელება და ამაზე კონკრეტულმა თანამდებობის პირებმა აუცილებლად უნდა აგონ პასუხი, თან ძალიან მკაცრად.

– ამბობთ, რომ მათ სახელმწიფო საშინლად ექცევა და შეგიძლიათ დააკონკრეტოთ, რას გულისხმობთ საშინლად მოქცევაში?

– ამ უბედურ დღეში მყოფი ადამიანების პატრონი კაცი შვილი არ არის. ამ მომენტისთვის ჩვენ სამგორის რაიონში ჩავატარეთ მონიტორინგი და პირდაპირ ვაცხადებ, რომ ამ რაიონის სოციალური სამსახურის უფროსი არის მოსახსნელი.

სოციალური აგენტების დამოკიდებულება უსახლკაროების მიმართ არის ძალიან საშიში და ძალიან საგანგაშო. 80 წლის ბებოს ამბავს მოგიყვებით. ის კახეთის გზატკეცილზე, ქოხში ცხოვრობს. მას სოციალური სტატუსი მოუხსნეს. მისთვის არ აუხსნიათ, თუ რატომ მიიღეს ასეთი გადაწყვეტილება. როცა ვკითხე, ბებო, რატომ არ გაასაჩივრე-მეთქი, მითხრა, შვილო, 5 ნაბიჯის გადადგმა მიჭირს და სად წავიდეო.

– ამ ბებოს არავინ ჰყავს?

– აბსოლუტურად მარტოა. მას არსად წასვლა არ შეუძლია. ასეთი მაგალითი ძალიან ბევრია.

გლდანში არის ოჯახი, 95 წლის ტყუპი დები და მათ უვლის 68 წლის ქალბატონი. ისინი ბოლო სართულზე, სადარბაზოში ცხოვრობდნენ. მათ ჰქონდათ სოციალური სტატუსი. მათი მეზობელი საზღვარგარეთ წავიდა, ესენი შეეცოდა და თავისი ლოჯია დაუთმო საცხოვრებლად. სოციალურმა აგენტმა ამ გაუბედურებულ ადამიანებს ათასი შეურაცხყოფა მიაყენა და სტატუსი მოუხსნა. ამ ფაქტის შესახებ პირადად მეც მივმართე სოციალურ სააგენტოს, მაგრამ უშედეგოდ. ის 68 წლის ქალბატონი, რომელიც დედას და დეიდას უვლის, გაგიუებულია. ორივე დას უმძიმესი სკლეროზი და კიდევ უამრავი დაავადება სჭირს.

კიდევ ერთი ოჯახის ისტორიას მოგიყვებით. ვაგონში ცხოვრობს 4 მცირეწლოვანი ბავშვი მამასთან და ბებიასთან ერთად. ბავშვებს დედა არ ჰყავთ. მამა ავადმყოფია, თირკმლების პრობლემა აქვს. მას დედამ გადაუნერგა თავისი თირკმელი. გამოდის, რომ ბავშვების ბებიაც შრომისუუნარო და ინვალიდი გახდა. ამ გაუბედურებულ ოჯახს 4 თვის განმავლობაში შეჩერებული ჰქონდა სოციალური დახმარება. ახლა ეს სტატუსი დაიბრუნეს, მაგრამ იმდენი ვალი დაუგროვდათ ამ 4 თვის განმავლობაში, რომ მთელი დახმარება ვალების გასტუმრებაზე მიდის.

ამ ადამიანების მონათხრობის მოსმენისას მიჩნდება განცდა, რომ სოცაგენტებად ჯალათები მუშაობენ. ისინი უსახლკაროებს ერთმანეთზე „დანოსების“ დაწერასაც კი ავალებენ.

– რაში სჭირდებათ ეს დანოსები“?

– სოცაგენტებს დავალებული აქვთ, რაც შეიძლება ნაკლებ ოჯახზე გაიცეს სოციალური სტატუსი. უსახლკაროები ძირითადად ერთად, საერთო საცხოვრებელში ცხოვრობენ. მათ ეუბნებიან, რომ თუ მეზობელს რაიმე დამატებითი შემოსავალი გაუჩნდა, სოციალურ სააგენტოს აცნობონ. ფაქტობრივად, 37 წელია.

აქვე კიდევ ერთ შემზარავ ისტორიას მოგიყვებით. გაჭირვებულების ნაწილი სასტუმრო კოლხეთში ცხოვრობს. ერთ-ერთ მათგანთან სოცაგენტი მივიდა და რაღაცების გამოკითხვა დაუწყო. მოხუცმა ქალმა უთხრა, რომ ქუჩაში ბოთლებს ეძებდა, იმას აბარებდა, რათა შვილიშვილისთვის დამატებით რაღაც ეყიდა. აგენტმა უთხრა, შემოსავალი გქონიაო და სტატუსი მოუხსნეს.

– დღეისათვის თბილისში რამდენი უსახლკაროა?

– 2 თვის წინ თბილისის მერიამ გამართა თავისი საქმიანობის პრეზენტაცია, სადაც ითქვა, რომ დედაქალაქში 7.500 უსახლკაროა. რამდენს დაეკმაყოფილებს აქედან მერია, ვერ გეტყვით, მაგრამ ფაქტია, რომ ამდენი ადამიანი მიიჩნევს თავს უსახლკაროდ. ჩვენ აღრიცხვაზე 4.630 უსახლკარო ავიყვანეთ. ყველა ამ ოჯახს ხელთ აქვს დოკუმენტები იმის შესახებ, რომ მათ სახელზე არანაირი უძრავი ქონება არ ირიცხება.

2015 წლის დეკემბრის მონაცემებით, თბილისის მერია 1.960 ოჯახს უხდის ბინის ქირას. ეს იმაზე მეტყველებს, რომ სახელმწიფომ ისინი უსახლკაროებად ცნო.

თბილისის მუნიციპალიტეტებმა გასულ წელს დაიწყეს უსახლკაროების რეგისტრაცია. ძალიან საგანგაშოა ის ფაქტი, რომ ამის შესახებ ამ ადამიანებმა არ იციან.

– რას ნიშნავს, არ იციან?

– იმას, რომ უსახლკაროების დიდმა ნაწილმა არ იცის, რომ მერიამ მათი რეგისტრაცია დაიწყო. მათ ამ ინფორმაციას შეგნებულად უმალავენ.

– რატომ უნდა დაუმალონ ეს ინფორმაცია?

– იმიტომ, რომ შემდეგ მერიამ მათ უნდა დაუქირავოს ბინა. ამ მიმართულებით საშინელ გულგრილობას იჩენს სახელმწიფო. ისედაც ტრავმირებულ ადამიანებს სოცაგენტები საშინლად ექცევიან. ჩვენ მივმართავთ ჯანდაცვის მინისტრს, რომ გადააყენოს ზაზა სოფრომაძე, წინააღმდეგ შემთხვევაში, სამინისტროს წინ აქციებს დავიწყებთ.

– სოფრომაძის გადაყენება უშველის საქმეს? აქ მთელი სისტემაა შესაცვლელი.

– ამ წლების განმავლობაში სააგენტოს დირექტორმა არაფერი იღონა იმისათვის, რომ შეეცვალა არსებული სოციალური მდგომარეობა როგორც მიდგომებთან, ასევე ბენეფიციარებთან დაკავშირებით.

სოციალური მომსახურების სააგენტო და სოციალური სამსახური, რომლის მოვალეობაც არის ადამიანების სოცდახმარება, გადაქცეულია დახურულ სისტემად, რომელიც ახორციელებს სადამსჯელო ღონისძიებებს ნულოვანი ტოლერანტობით და, პრაქტიკულად, დაკავებულია ერის გაჭირვებული ფენის გენოციდით. თავხედი, უხეში, მკვეთრად ანტიჰუმანური, უზრდელი და საეჭვო განათლების მქონე სოცაგენტები საკუთარ დაუსჯელობაში არიან დარწმუნებულნი 100%ით.

ისინი ამცირებენ ბენეფიციარებს, რითაც უხეშად ლახავენ საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის 1-ლი ნაწილით გარანტირებულ თითოეული ადამიანის ფუძემდებლურ უფლებას, განზრახ ამახინჯებენ მიწოდებულ ინფორმაციას და თავიანთი სურვილისამებრ წყვეტენ, ვის უნდა ჰქონდეს სახელმწიფო დახმარება და ვის – არა. მათ არ აინტერესებთ ბენეფიციარების საერთო პრობლემატიკა სოცდახმარების მაძიებელთა მიერ მიწოდებულ ფაქტებთან მიმართებით, სოცმუშაკები მხოლოდ თავიანთ პირად და სუბიექტურ ინტერპრეტაციაზე დაყრდნობით ავსებენ დეკლარაციებს, ახალისებენ ბენეფიციართა შორის დაბეზღების ინსტიტუტს.

ჩვენს ხელთ არსებული ასობით ფაქტის საფუძველზე თამამად შეიძლება ითქვას, რომ სოცმუშაკების მიერ სოცდახმარების მაძიებელთა პრაქტიკულად სრული შემადგენლობა აპრიორი აღიქმება, როგორც მათი პირადი, დაუძინებელი და მოსისხლე მტერი; სოციალურად დაუცველის სტატუსი წართმეული აქვთ უღატაკეს მოქალაქეებს. სააგენტოს საქმიანობაში სახელმძღვანელო ნორმატიულ აქტებს (მათ შორის „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონსაც კი!) თითქმის არ გააჩნია ჯანსაღი აზრი და მთლიანობაში არსებული სისტემა ტოვებს დაუმუშავებელ-დაუსრულებელი მექანიზმის შთაბეჭდილებას. სოციალურად დაუცველის სტატუსის მინიჭების მეთოდოლოგია მეტად აღმაშფოთებელია და მოდის წინააღმდეგობაში „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით“ აღიარებულ ფუნდამენტურ უფლებებთან.

ოპოზიციური პარტიები საკონსტიტუციო რეფორმის საკითხზე ვენეციის კომისიას წერილს გაუგზავნიან

ქართული ოპოზიციური სპექტრი უახლოეს პერიოდში ვენეციის კომისიას კიდევ ერთხელ მიმართავს. როგორც ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები აცხადებენ, მიმართვაში საუბარი შეეხება საკონსტიტუციო რეფორმის საკითხზე ჩაშლილ დიალოგს და იმას, თუ რატომ ვერ მიაღწიეს შეთანხმებას ოპოზიციურმა პარტიებმა და მმართველმა გუნდმა. ვენეციის კომისიისთვის მიმართვის ტექსტის შესამუშავებლად ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები შეხვედრას კიდევ ერთხელ გეგმავენ.

– მთელმა ქართველმა საზოგადოებამ, არასამთავრობო ორგანიზაციებმა, პოლიტიკურმა პარტიებმა, ძალიან მკაფიოდ დავაფიქსირეთ, თუ რა არის ჩვენი მოთხოვნა საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით. ეს არის საარჩევნო სისტემა და ეს არის 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების ჩატარება პროპორციული სისტემით, რაც არ უნდა, რომ გაიზიაროს „ქართულმა ოცნებამ“ და ცდილობს ამ ჩიხური მდგომარეობიდან, რომელშიც თვითონ შეიყვანა საკონსტიტუციო პროცესი, როგორმე გამოძვრეს პასუხისმგებლობის გარეშე.

„ქართულ ოცნებას“ თუ უნდა, მიაღწიოს კომპრომისს, მაშინ აუცილებლად უნდა წავიდეს ამ დათმობაზე. იმის გამო, რომ არ მიდის „ქართული ოცნება“ ასეთ დათმობაზე, ამიტომ გვაქვს „პინგპონგის“ თამაში, რომლის შედეგი პრაქტიკულად არის, რომ ამ ფორმით მიღებული კონსტიტუცია იქნება უკან გადადგმული ნაბიჯი ჩვენი ქვეყნის დემოკრატიული განვითარების გზაზე, – განუცხადა ჟურნალისტებს ჭიაბერაშვილმა.

პრეზიდენტის ადმინისტრაციაში მიიჩნევენ, რომ ბორჯომის ხანძრის ლიკვიდაციაში რუსეთისთვის დახმარების თხოვნაში მთავარი პრობლემა ინფორმაციის დამალვაა

პრეზიდენტის ადმინისტრაციაში მიიჩნევენ, რომ ბორჯომის ხეობაში ხანძრის ლიკვიდაციაში რუსეთისთვის დახმარების თხოვნაში მთავარი პრობლემა ინფორმაციის დამალვაა. როგორც ჟურნალისტებს პრეზიდენტის მრჩეველმა საგარეო საკითხებში თენგიზ ფხალაძემ განუცხადა, გადაწყვეტილებების მიღება საზოგადოების ზურგს უკან არ უნდა ხდებოდეს.

„ამ შემთხვევაში მთავარი პრობლემა არის ინფორმაციის დამალვა. მაშინ როდესაც მიიღება ესა თუ ის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება, მითუმეტეს, როდესაც საქმე ეხება რუსეთის ფედერაციისთვის დახმარების თხოვნას, უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ ამის შესახებ საზოგადოებას ჰქონდეს ამომწურავი ინფორმაცია და არ ხდებოდეს საზოგადოების უკან რაღაც მოლაპარაკებების წარმოება. ჩვენ გვახსოვს, რომ ასეთივე შემთხვევა გვქონდა „გაზპრომთან“ მიმართებით და ძალიან ცუდია, რომ ეს ყველაფერი ერთგვარი ტენდენციის სახეს იძენს“, – განაცხადა ფხალაძემ.

შორენა მარსაგიშვილი

„დასავლეთ საქართველოს სრული კატასტროფა ემუქრება“

ჰატომ ვეჰ გაუმჯღავდა ხეღისუფღება ცუანას, გაიზიარებს თუ არა დასავღეთ საქართველოს ბედს აღმოსავღეთ საქართველო, ჰა არის „ქართული ოცნების" მთავარი საზრუნავი? – ამის შესახებ „ახალ თაობას" ექსპერტი გარემოს დაცვის საკითხებში ღაშა ჩხარტიშვილი ესაუბრება.

ღაშა ჩხარტიშვილი:

– დასავლეთ საქართველოში აზიურ ფაროსანთან, იმავე ცუანასთან მიმართებით კატასტროფული ვითარებაა. ცუანა გახლავთ პარაზიტი მწერი, რომელიც ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურას ანადგურებს. მისი გავრცელება საქართველოში რამდენიმე წლის წინ დაიწყო.

ცუანასთან ბრძოლით „ქართულ ოცნებას“ თავი დიდად არ შეუწუხებია. მის არსებობას მანამდე არ იმჩნევდნენ, სანამ კატასტროფის წინაშე არ დავდექით. წელს პარაზიტის წინააღმდეგ რაღაც ღონისძიებები თითქოს გაატარეს, მაგრამ მისი მასშტაბები იყო მიზერული.

სოციალურ ქსელში გავრცელდა ფოტომასალა. ეს ყველაფერი ძალიან ჰგავს ბიბლიურ კატასტროფებს – ეგვიპტეს რომ მწერები შეესივნენ წყევლის შედეგად, ასეთ დღეშია დღეს დასავლეთ საქართველო.

ამაზე პირდაპირი პასუხისმგებლობა ეკისრება სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და მთლიანად მთავრობას. ეს ვითარება ქართულმა მედიამ ასე შეაფასა – საქართველო ცუანასთან ბრძოლაში დამარცხდა. მე ამ სათაურს ოდნავ შევცვლიდი და ვიტყოდი, რომ ცუანა ხელისუფლება პარაზიტ ცუანასთან დამარცხდა. ცუანა თუ სასოფლო-სამეურნეო კულტურებს ემტერება, საქართველოს ხელისუფლება ბიუჯეტის პარაზიტია.

– თქვით, რომ ცუანას წინააღმდეგ რაღაც ღონისძიებები იქნა გატარებული. იქნებ შეუძლებელია მასთან ბრძოლა და ამიტომ ვერაფერი დააკლეს?

– შეუძლებელი არაფერი არ არის. ამ პრობლემისთვის თავიდანვე რომ მიექციათ ყურადღება, ეს პარაზიტი მთელ დასავლეთ საქართველოს არ გაანადგურებდა. იმის მაგივრად, რომ რამე იღონონ, ხელისუფლება ამაყად აცხადებს, რომ თურმე ცუანა დასავლეთ საქართველოში ჩაუკეტავთ.

„ქვეყნის სათავეში ქართული წარმოშობის აღა მაჰმად ხანები არიან“

– რამდენად კარგად ჰყავთ ეს ცუანა ჩაკეტილი? უნდა ველოდოთ თუ არა აღმოსავლეთ საქართველოში პარაზიტების გამოჩენას?

– ასეთი მიდგომა თუ გაგრძელდება, ცუანა აღმოსავლეთ საქართველოსაც შემოესევა. დასავლეთ საქართველო, პრაქტიკულად, გაანადგურეს.

– საქართველოში როგორ შემოაღწია ამ პარაზიტმა?

– ცუანა აზიური წარმომავლობისაა. ითვლება, რომ ის იმ გემებს შემოჰყვა, რომლებითაც სოჭის ოლიმპიადისთვის საშენი მასალა შემოჰქონდათ. სოჭიდან ეს მწერი საქართველოშიც გავრცელდა. ცუანა ჩვენთან, ფაქტობრივად, 3 წელია, რაც ბინადრობს. ეს პარაზიტი შარშანაც აქტიურად იყო გავრცელებული, მაგრამ წელს პიკს მიაღწია.

მასთან ბრძოლის ზოგადი პრინციპები ცნობილია, მაგრამ ხელისუფლებას დამატებითი კვლევებიც უნდა ჩაეტარებინა. მავნებლებთან ბრძოლისთვის სათანადო თანხები უნდა გამოეყოთ, მაგრამ ეს თანხები სხვადასხვა გასართობ ღონისძიებაზე იხარჯება.

დასავლეთ საქართველო, ფაქტობრივად, შიმშილის პირასაა. უკეთესი დღე არც აღმოსავლეთ საქართველოს ელოდება.

– როგორც ამბობენ, ცუანა ავეჯსაც აზიანებს.

– ყველაფერს აზიანებს, მცენარეებს, ხის ავეჯს, ქსოვილებსაც კი აფუჭებს სხვადასხვა გამონაყოფით. ძალიან ძძიმე შედეგები მოიტანა ამ მწერმა. ცუანამ ველური ბუნებაც შეიძლება დააზიანოს.

– ველური ბუნება ცუანას გარეშეც განადგურებულია.

– პარაზიტები ველურ ბუნებას ნამდვილად არ აკლია. სანამ ველურ ბუნებასა და ტყეებზე გადავალ, ერთ დაავადებაზე მინდა ყურადღების გამახვილება. ეს არის სოკოვანი დაავადება, ნაცარი, რომელიც ძირითადად თხილს უჩნდება. ეს დაავადება შარშან მასობრივად იყო გავრცელებული.

გასულ წელს ხელისუფლებამ არანაირი ღონისძიება არ გაატარა და სამეგრელო-გურიაში კატასტროფული შედეგი დადგა. ორივე რეგიონისთვის თხილი შემოსავლის ერთ-ერთი მთავარი წყაროა. ამის გამო აქაურები ფინანსურ კოლაფსამდე მივიდნენ. უკეთესი მდგომარეობა არც წელს არის.

სერიოზული დაავადება გაუჩნდა ბზასაც. ამ კულტურას სოკოვან დაავადებასთან ერთად პარაზიტი მწერიც მტრობს. შედეგად უნიკალური კოლხური ბზა ძალიან ძძიმე მდგომარეობაშია. ხელისუფლება არც ამ მიმართულებით აკეთებს რამეს.

საკმაოდ სწრაფად ვრცელდება ხის დაავადება – ქერქიჭამია. ის განსაკუთრებით ბორჯომის ხეობაშია გავრცელებული. დაავადება თბილისის მიმდებარედაც გვხვდება. ბორჯომი და თბილისის შემოგარენი ამ ქერქიჭამიას წყალობით მასობრივად არის გადამხმარი.

ქერქიჭამია ხანძრების გავრცელების ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი გახლავთ. დივერსიას თუ გამოვრიცხავთ, ტყეებში გახშირებული ხანძრების მიზეზი ქერქიჭამიაა.

ამ სიკეთეს ემატება ისიც, რომ სატყეო სექტორი, პრაქტიკულად, ბედის ანაბარაა მიტოვებული. არადა, ხელისუფლებაში მოსვლამდე „ქართულმა ოცნებამ“ თქვა, რომ გარემოს დაცვა და ეკოლოგია მათთვის პრიორიტეტი იქნებოდა. ეკოლოგიის ერთ-ერთი ყველაზე დიდი მტერი, კახა კალაძე, დღეს ურცხვად აცხადებს, რომ გარემოს დაცვა ყოფილა მისთვის პრიორიტეტი. არადა, მან ბიძინა ივანიშვილთან ერთად თავზე გადაგვახია საქართველოს ისტორიაში ყველაზე მწვანე ეკოლოგიური პროგრამა.

– ყველაზე მწვანე პროგრამა თავად „ოცნების“ შემუშავებული არ იყო?

– „ოცნების“ შემუშავებული იყო, მაგრამ ეს, ეტყობა, ხალხის მოსატყუებლად უნდოდათ. მოვიდნენ თუ არა, მაშინვე ჰესების აშენებას მიჰყვეს ხელი. ნაცები თუ ერთი ხელით აშენებდნენ, ესენი ორი ხელით აშენებენ. 150 ჰესი უნდა ააშენონ და ამისთვის მზად არიან, მთელი ბუნება გაანადგურონ.

ბუნების განადგურება მომავალშიც გაგრძელდება. ხელისუფლებაში მოსვლას ისევ ეკოლოგიის დაცვის ლოზუნგებით აპირებენ. იმედი მაქვს, მოსახლეობა სათანადო დასკვნებს გამოიტანს.

– მოსახლეობას რის გაკეთება შეუძლია?

– ბევრი რამის. მოსახლეობამ უნდა იცოდეს, რომ თუ ის არ შეცვლის ხელისუფლებას, მას ქვეყნის შეცვლა მოუწევს.

– ქვეყნის შეცვლა რატომ მოუწევს?

– ეს ხელისუფლება თუ დარჩა და ასე გააგრძელა, ამ ქვეყანაში ცხოვრება შეუძლებელი გახდება. სასოფლო-სამეურნეო კულტურები ცუანამ გაანადგურა. ტყეებს ხანძარი სპობს. ტყე სადაც არ არის, იქ აღარც ჰაერია და აღარც წყალი. „ქართული ოცნება“ კი გარემოს დაცვისთვის ფულს ვერ იმეტებს.

უკვე დიდი ხანია, ამ ქვეყანას ქართული წარმოშობის აღა მაჰმად ხანები დაეპატრონნენ. ისინი სპობენ და ანადგურებენ ყველაფერს. მათ მხოლოდ საკუთარი კეთილდღეობა აინტერესებთ.

გარემოს დაცვასა და ეკოლოგიაზე ბევრს ლაპარაკობენ, მაგრამ საქმით არაფერს აკეთებენ. მეცნიერების განადგურება საბაკშვილის დროს დაიწყო. არანაირი კვლევა აღარ ტარდება. მთელი რიგი პროფესიები საერთოდ გააქრეს. მეტყევეების გადამზადება საერთოდ არ ხდება. საგანგებოდაც რომ მოამზადონ მეტყევე, ის ვერაფერს გახდება. მათი ხელფასიც მიზერულია. ყველაზე დაბალი ხელფასები სწორედ სატყეო სექტორშია. არადა, ტყე სიცოცხლისთვის აუცილებელია.

2017 წლის იანვარ-ივნისში საქართველოს სატრანსპორტო დარგები 162.3 მილიონ მგზავრს მოემსახურა

ეკონომიკის სამინისტროს ოფიციალური მონაცემებით, მიმდინარე წლის მაჩვენებელი 4.8 მილიონი აღემატება გასული წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელს.

სატრანსპორტო დარგებიდან ამ პერიოდში ყველაზე მეტმა – 159.5 მილიონმა მგზავრმა საავტომობილო ტრანსპორტით ისარგებლა, 1.6 მილიონმა მგზავრმა – სამოქალაქო ავიაციით, ხოლო რკინიგზა 1.2 მილიონი მგზავრს მოემსახურა.

გარდა ამისა, საანგარიშო პერიოდში 18.1 მილიონი ტონა ტვირთი გადაიზიდა, რაც 2016 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 0.3 მილიონი ტონით ნაკლებია.

სამი მეტროსადგურის რეაბილიტაცია დედაქალაქის ბიუჯეტს 1.451.395 ლარი უჯდება

მეტროსადგურ „ახმეტელის თეატრის“ რეაბილიტაცია 523.215 ლარი დაჯდა. სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია „დამბა“ რამდენიმე თვის განმავლობაში ატარებდა.

2017 წელსვე კიდევ ორი მეტროსადგურის რეაბილიტაციის დასრულება იგეგმება – „ვარკეთილისა“ და“ ავლაბრის“. ვარკეთილში სადგურის აღდგენით-გამაგრებით სამუშაოებს შპს „ყვარელრემმშენი“ აწარმოებს. ამისათვის ბიუჯეტიდან 347.852 ლარია გამოყოფილი. რაც შეეხება მეტროსადგურ „ავლაბარს“, მისი გამაგრება და განახლება 580.328 ლარი ჯდება. ტენდერში გამარჯვებული კომპანია კი „აბსოლუტპლუსია“.

განახლებული „ახმეტელის თეატრი“ გუშინ დედაქალაქის მერმა, დავით ნარმანიამ დაათვალიერა და განაცხადა, რომ ის ახლა ბევრად უფრო მოწესრიგებული, ლამაზი და უსაფრთხოა.

ბიბიენი

ვისი ვალი აქვს საქართველოს?

მიმდინარე წლის 31 ივლისის მდგომარეობით, სახელმწიფო საგარეო ვალმა 11,8 მილიარდი ლარი (5 მილიარდი დოლარი) შეადგინა.

საქართველოს საგარეო ვალის ძირითადი ნაწილი საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებზე მოდის. კერძოდ, საქართველოს უმსხვილესი მევალეა „მსოფლიო ბანკის“, განვითარების საერთაშორისო ასოციაცია (IDA), რომლის მიმართაც საქართველოს ვალი 2,8 მილიარდ ლარს შეადგენს. მას მოსდევს „მსოფლიო ბანკის“, რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი (IBRD), მის მიმართ სახელმწიფო საგარეო ვალმა 1.8 მილიარდი ლარი შეადგინა.

რას შეეხება სახელმწიფოს მევალე სხვა საფინანსო ინსტიტუტებს, ჩამონათვალი ასე გამოიყურება:

სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი (IFAD) – 68.1 მილიონი ლარი;

საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF) – 270 მილიონი ლარი;

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD) – 315 მილიონი ლარი;

ევროგაერთიანება (EU) – 64,7 მილიონი ლარი;

აზიის განვითარების ბანკი (ADB) – 2.4 მილიარდი ლარი;

ევროპის საინვესტიციო ბანკი (EIB) – 761,1 მილიონი ლარი.

რაც შეეხება ქვეყნებს, ორმხრივი კრედიტორი ქვეყნებიდან გერმანია ლიდერობს, რომლის მიმართაც საქართველოს ვალი 31 ივლისის მდგომარეობით, 681,5 მილიონი ლარი იყო, მას მოსდევს იაპონია – 499,6 მილიონი ლარი; საფრანგეთი – 272,6 მილიონი ლარი; რუსეთი – 179,9 მილიონი ლარი.

სხვა ქვეყნების მიმართ კი საგარეო ვალის სტატისტიკა ასეთია: ავსტრია – 35,6 მილიონი ლარი; აზერბაიჯანი – 22,4 მილიონი ლარი; თურქმენეთი – 507 ათასი ლარი; თურქეთი – 43 მილიონი ლარი; ირანი – 17,4 მილიონი ლარი; სომხეთი – 25,6 მილიონი ლარი; უზბეკეთი – 470 ათასი; უკრაინა – 429 ათასი ლარი; ყაზახეთი – 61,8 მილიონი; ჩინეთი – 5,3 მილიონი ლარი; კუვეიტი – 30,6 მილიონი ლარი; ნიდერლანდები – 2,7 მილიონი და ამერიკა – 59 მილიონი ლარი.

ასევე სახელმწიფოს ვალად აქვს 1,2 მილიარდი ლარის ღირებულების ფასიანი ქაღალდი (ევროობლიგაცია).

ბიბიენი

როგორ ახშობდნენ „ამერიკის ხმას“

„ამერიკის ხმის" ჟურნალისტისთვის ყველაზე უცნაური განცდა იმ ადგილას მოხვედრაა, სადაც ათწლეულების განმავლობაში მის მაუწყებლობას ახშობდნენ. ადრენალინი პიჯზეა იმ შეგრძნების გამო, რომ ნახევრად მითიურ ადგილას ხარ, რომელიც ოფიციალურად არც საბჭოეთისთვის არსებობდა და არც დანარჩენი მსოფლიოსთვის – მას ასაიდუმლოებდნენ. აქ მომუშავე პერსონალი მტკიცედ, პატიოსნად და ერთგულად იცავდა ჯონფიდენციალურობას, როგორც ამას საბჭოთა მოქალაქეებს ასწავლიდნენ.

„ამერიკის ხმასაც“ და მის ჟურნალისტებსაც ახლა უკვე დაუბრკოლებლად შეუძლიათ გადაადგილდნენ ტერიტორიაზე, სადაც წლების წინ ვაშინგტონიდან მომავალი რადიო სიგნალის ჩახშობას, დაახლოებით 100-კაციანი ჯგუფი დღე-ღამეში 24 საათის განმავლობაში ცდილობდა.

საქართველოს სამხედრო გზისკენ თუ აიღებთ მიმართულებას, ბაზალეთის ტბის მიმდებარედ ერთ უცნაურ დასახლებაში აღმოჩნდებით. ადამიანები აქ გასული საუკუნის 50-იანი წლების დასაწყისში საბჭოთა ხელისუფლებამ „გაანაწილა“ თან სამუშაოდ, თან საცხოვრებლად, ტერიტორიის დიდი ნაწილი ეკლიანი მავთულხლართით შეღობა და რადიოსადგურის ამბავი იმდენად გაასაიდუმლოა, რომ სახელწოდებაც კი არ მიუცია. დასახლება, ადგილი, რომლის არსებობის თაობაზეც არავინ არ უნდა იცოდეს; პერსონალი, რომელსაც კონტაქტი არავისთან უნდა ჰქონდეს; სამუშაო, რომლის თაობაზეც მათ არავისთან სიტყვა არ უნდა დაძრან და უფრო მეტიც – თავადაც არ უნდა იცოდნენ, რას აკეთებენ – ასეთ გარემოში ბაზალეთთან „ამერიკის ხმის“ სიგნალის ჩამხშობი მოწყობილობა გასული საუკუნის 50-იანი წლების დასაწყისიდან საბჭოთა კავშირის დაშლამდე მუშაობდა. როგორც მისი ძველი თანამშრომლები ამბობენ, ისინი უბრალოდ „შხრიალის ხმას“ წარმოქმნიდნენ, რაც რადიოტალღების მსმენელამდე მისვლის შესაძლებლობას არ ტოვებდა.

დასახლებაში მეგობრულად გვხვდებიან. „ამერიკის ხმა“ აქ უცხო არავისთვის არაა, არც იმის ახსნა სჭირდება ვინმეს, რას საქმიანობ, ან ამ ადგილას რა შეიძლება გაინტერესებდეს. რადიოსადგურის ძველი თანამშრომლები, რომელთაგან ახლა სულ ათიოდეს შეიძლება მოუყარო თავი, ერთმანეთის მობილიზებას უთხოვნელად აკეთებენ. ახლა ყველაზე მეტი საწუწუნო მათ ასაკის მიმართ აქვთ. ახალგაზრდობის წლები კი უყვართ. მართალია, ამ დროს ფაქტობრივ გეტოში ცხოვრობდნენ, მაგრამ საბჭოთა სამშობლო მათ კეთილდღეობაზე სრულყოფილად ზრუნვის სრულყოფილი შთაბეჭდილების მიცემას მცდელობას არ აკლებდა. აქვე ჰქონდათ ამბულატორია, მაღაზია, კინოთეატრი და, რა თქმა უნდა, პარტკაბინეტი.

რეპორტაჟი ბაზალეთის ტბასთან მდებარე ძველი საიდუმლო რადიოსადგურიდან



რადიოსადგური 250 ჰექტარ ფართობზე გახლდათ განთავსებული. მისი ამბები ძველ პერსონალზე უკეთ არავინ იცის. ჩავლილმა წლებმა და ცხოვრებამ პასუხები ბევრ კითხვას გასცა და ბევრი ირონიული კითხვაც გააჩინა.

უსახელო დასახლებაში ყველამ იცის, რომ „ამერიკის ხმის“ სიგნალის ჩახშობა სრულიად ამაო გარჯა გახლდათ. ჩვენს თხოვნაზე, გვაჩვენონ დანადგარები ან ძველი ტექნიკის ნარჩენები, არ გვზარდებიან. ვერა ლომსაძე 23 წლის იყო 1955 წელს, როდესაც რადიოსაქმის ტექნიკუმის დასრულების შემდგომ სადგურში სამუშაოდ გამოუშვეს. აქ მოსვლას თავად არავინ ირჩევდა, ამის შესახებ გადაწყვეტილებას „ზემდგომი“ ინსტანცია იღებდა და მოქალაქეებსაც საკუთარი შეხედულებისამებრ „ანაწილებდა“. გასაიდუმლოებულ ჩასახლებაში აღმოჩენილი ადამიანები მანამდე საქართველოს სხვადასხვა დასახლებულ პუნქტში ცხოვრობდნენ, აქ მოხვედრის შემდგომ კი ახალ ცხოვრებას იწყებდნენ. უდიდესი უმრავლესობა სწორედ რადიოსადგურში, საკუთარ თანამშრომელზეა დაქორწინებული. ვერა ლომსაძე იმ ადგილისკენ მიგვიძღვება, სადაც უზარმაზარი ანძები მუშაობდა.

– შენობაში 8 გადამცემი მუშაობდა, რომელთაც შუაზე დერეფანი ჰყოფდა, ძალიან დიდი კონსტრუქციები იყო, შესასვლელი კაბინებით და ლამპებით. გადამცემს გადამცემისგან ორი მეტრი აშორებდა, მთელ სიგრძეზე ხალიჩები იყო გაფენილი, – იხსენებენ რადიოსადგურის ინტერიერს თანამშრომლები, – ღია ცის ქვეშ სპეციალური გაგრილების სისტემა იყო მოწყობილი, ურომლისოდაც გადამცემი, უბრალოდ გადაიწვებოდა. კოჭებში გადიოდა წყალი, რომელიც ცხელდებოდა. აუცილებელი იყო მისი გაცივება, თორემ გადამცემი ვერ იმუშავებდა. ცხელი წყალი ზემოთ ადიოდა და შემდეგ საფეხურებზე ეშვებოდა, რა დროსაც გრილდებოდა. უშველებელი გადამცემები იყო. ბოლოს მოძველდა. მისი ნაწილები ციმბირიდან ჩამოჰქონდათ, აქ არ იშოვებოდა. 1990 წელს კიდევ მუშაობდა ჩახშობაზე, შემდეგ ნაწილობრივ შეამცირეს, – გვიხსნიან რადიოსადგურში.

ახლა იქ აღარაფერია. არც ანძა, არც მისი საყრდენი, არც ხმის ჩამხშობი ტურბინები და არც გადამცემები. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ ყველაფერი ჯართად იქცა და ჯართად გაიყიდა. იმ შენობაში კი, სადაც საბჭოთა პერიოდში სადგური ფუნქციონირებდა, „თავისუფალი უნივერსიტეტის“ სატრენინგო ცენტრია – თანამედროვე და ციფრული ტექნიკით აღჭურვილი.

„პირადად თქვენ შეგეძლოთ „ამერიკის ხმის“ სიგნალის ჩახშობა?“ – ვეკითხებით ქალბატონ ვერას, რომელიც გვპასუხობს, რომ „ამერიკის ხმასაც“ ახშობდა და BBC-საც.

– აქ ანძები იყო, ანტენებით. თითო გადამცემს ორი ან ერთი ანტენა ჰქონდა. შემდეგ გადართვები ხდებოდა ერთი ანტენიდან მეორეზე, გააჩნია რომელი მიმართულებით იქნებოდა საჭირო ჩახშობა. „ამერიკის ხმას“, BBC-ს, ყველას ახშობდნენ, იაპონიის სიგნალსაც, ახლა ყველა აღარ მახსოვს“, – გვეუბნება იგი. ამ დროს საუბარში მისი ყოფილი თანამშრომელი აზა სამნიაშვილი ერთვება, რომელიც ამატებს:

– მათთვის მიუღებელი იყო ჩვენი ცხოვრება... ტყუილი მე არაფერი არ მომისმენია, მაგრამ ამათ არ უნდოდათ სიმართლის გამჟღავნება. მე ასე მჯერა და ასეც იყო. სისულელე იყო ამდენი ფულის ხარჯვა იმის ჩახშობაზე. ელაპარაკათ რაც უნდოდათ, – განაგრძობს ვერა ლომსაძე. „არ შეიძლებოდა და როგორ უნდა ელაპარაკათ? პროპაგანდა იყო“, – ეპასუხება აზა, მაგრამ ქალბატონი ვერა პოზიციებს არ თმობს: „ახლა რატომ შეიძლება ყველაფრის ლაპარაკი?“.

ძველი თანამშრომლები საბოლოოდ ერთ აზრზე ყალიბდებიან: „იქ სხვანაირი ცხოვრება იყო და ჩვენს ხალხს არ უნდა გაეგო ეს ყველაფერი.“ „იქ კარგი ცხოვრება იყო, აქ ცუდი და არ უნდოდათ გაეგოთ“, „რა თქმა უნდა, არ უნდოდათ.“ შემდეგ კი პოლემიკა უკვე იმას ეხება, გვაქვს თუ არა უკვე ახლა სრულყოფილი ცოდნა იმის შესახებ, როგორია „ცხოვრება სხვაგან.“

რადიოსადგურის ძველ თანამშრომლებს საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგაც არ მიუტოვებიათ საკუთარი საცხოვრებელი.

– ზოგჯერ მეც მაინტერესებდა და ვისმენდი, რასაც გადმოსცემდნენ. ტყუილს არაფერს ამბობდნენ, სიმართლეს ლაპარაკობდნენ, მაგრამ მაინც უნდა ჩაგვეხშო – ასეთი იყო პოლიტიკა, – ამბობს ქალბატონი ვერა და დანანებით გასცქერის მოუვლელობისგან გაბარდნილ ბუჩქნარს ძველი რადიოსადგურის შენობის გვერდით: „ერთხელ ამ ადგილას როგორი კარგი კარტოფილი მოვიყვანე“, – გვიზიარებს ჩავლილი ახალგაზრდობის სინანულს.

როგორც თანამშრომლები გვეუბნებიან, რადიოსადგურის აშენების პროექტს ხელი იოსებ სტალინმა მოაწერა, მაგრამ მის სრულყოფილ ფუნქციონირებას ვერ მოესწრო. მანამ, სანამ იქ ქართულენოვან თანამშრომლებს მიიღებდნენ, სამი წლის განმავლობაში რუსი სპეციალისტები მუშაობდნენ.

– დირექტივებს მხოლოდ მოსკოვიდან ვიღებდით, სხვას არ ვემორჩილებოდით, – გვეუბნება აზა სამნიაშვილი, რადიოსადგურის თანამშრომელი 1957 წლიდან.

– რომელი სიხშირე უნდა გაგვეთიშა, ამის თაობაზე ცნობებს მორზეს ანბანით გვაწვდიდნენ მოსკოვიდან. ჩაძინება არ შეიძლებოდა. ზუსტად მითითებულ დროში უნდა ჩაგერთო და გამოგერთო მოწყობილობა, ამიტომ 24 საათის განმავლობაში რამდენიმე ცვლა ვმუშაობდით, თითო რვა საათის განმავლობაში, – გვიხსნის ვერა ლომსაძე.

ლუბა კასოევაც რადიოსადგურის თანამშრომელი გახლდათ, მხოლოდ ის იმ იშვიათი თანამშრომლების ჯგუფს მიეკუთვნებოდა, ვისაც რადიოსაქმე არ შეუსწავლია და არც გაუნაწილებიათ სამუშაოდ. მისი მეუღლე აქ მძღოლად მუშაობდა, ამიტომ მონტიორის საქმე ლუბა კასოევასთვისაც გამოიძებნა. „ამერიკელები მტრები იყვნენ და აბა რა უნდა გვექნა, უნდა ჩაგვეხშო მაუწყებლობა“, – გვეუბნება ქალბატონი ლუბა. მან გაგვაოცა, როდესაც გვითხრა, რომ „ამერიკის ხმისთვის“ ფარულად არასდროს მოუსმენია. „არ გქონიათ არასდროს ცდუნება, მოგესმინათ, რის მოსმენასაც გიკრძალავდნენ?“, – ვეკითხებით და უარყოფით პასუხს ვიგებთ: „მიზანშეწონილი არ იყო, რატომ უნდა მოგვესმინა? ჩვენ ვახშობდით და ესე იგი, ეგ ჩუმად უნდა გაგვეკეთებინა, რაც არ შეიძლებოდა. არ ვიცი, მეშინოდა, თუ რა იყო. რაკი უფროსი გვეუბნებოდა, რომ არ შეიძლებოდა, ესე იგი, არ შეიძლებოდა, უნდა დაგვეჯერებინა მისთვის. ამიტომ სურვილიც არ გამჩენია მომესმინა“, – ამბობს ძველი მონტიორი.

– ჩვენ ვიყავით რადიოსადგური 5, საბჭოთა კავშირის ხაზით, ასე გვიცნობდნენ მოსკოვში. წერილებს ვიღებდით მისამართზე „საფოსტო ყუთი 22“, – გვიხსნის აზა სამნიაშვილი და სახურავმოხდილ „ხელმძღვანელობის“ შენობას გვათვალიერებინებს, მხოლოდ გარედან, რადგან შიგნით გადაადგილება სახიფათოა, შეიძლება, ნებისმიერ დროს კიბე ჩამოინგრეს. ახლა მხოლოდ გარედან შეიძლება მიანიშნო, სად იყო პარტკაბინეტი და სად კინოს გამშვები აპარატი, სადაც ყველაზე მეტ პოპულარობას, საბჭოური ტრადიციისამებრ, ინდური ფილმები იხვეჭდა.

საქართველოში სიხშირეების ჩახშობაზე ეს ერთადერთი რადიოსადგური მუშაობდა, რომელიც თანამშრომლობდა სართიჭალის პატარა სადგურთან და კიდევ უფრო პატარა კაბინეტთან თბილისში, მაშინდელი ცენტრალური ტელევიზიისა და ახლდანდელი საზოგადოებრივი მაუწყებლის შენობაში.

რადიოსადგურის თანამშრომლების ხელფასი დიდად არ განსხვავდებოდა საბჭოეთში დასაქმებული ადამიანების ჯამაგირისგან. საწყის ეტაპზე, ახალბედები 45 მანეთს იღებდნენ, ცვლის უფროსს კი 120 მანეთი ჰქონდა, ბუღალტერი 260 მანეთს იღებდა, მთავარი ინჟინერი კი 300-სს. ყველაზე მაღალანაზღაურებადი აქ, ბუნებრივია, რადიოსადგურის უფროსი გახლდათ – 330-მანეთიანი გასამრჯელოთი.

თანამშრომლებისგან იმის შესახებაც ვიღებთ ინფორმაციას, რომ რადიოსიგნალის ჩამხშობი ანალოგიური სადგურები საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებშიც ფუნქციონირებდა, თუმცა, არც ერთ მათგანში ისინი მივლინებით არ ყოფილან.

– გადმოცემით ვიცოდით, რომ სომხეთში ასეთი გადამცემები მიწის ქვეშ იყო განთავსებული. მოსახლეობას, თურმე, ეგონა, რომ ჩვენთანაც მიწის ქვეშ მუშაობდა, არადა, მიწის ქვეშ აქ არაფერი ყოფილა, – გვეუბნებიან და ძველ საათზე მიგვანიშნებენ, რომლის მხოლოდ ფუტლარია ახლა დარჩენილი – „ეს ძველი ელექტროსაათი იყო. სამსახურში მოსვლისას გულის ფანცქალით შევცქეროდით, ხომ არ დაგვაგვიანდა, წუთი ხომ არ გადაგვიცდაო.“ საათი რადიოსადგურის შესასვლელთან გამოშიგნული კიდია და დროს, რა ხანია, აღარ აჩვენებს.

დაავადებათა კონტროლის ცენტრმა 8 ყველაზე არაჯანსაღი პროდუქტი დაასახელა

დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი საზოგადოებაში ჯანსაღი კვების წესის დასამკვიდრებლად სპეციალურ საინფორმაციო კამპანიას აგრძელებს. ცენტრში აცხადებენ, რომ ადამიანები ყოველდღიურად მოიხმარენ იმ კატეგორიის საკვებ პროდუქტებს, რომლებიც ჯანმრთელობისთვის საზიანოა, რაც სხვადასხვა დაავადებების პროვოცირებას იწვევს.

ყველაზე საზიანო საკვები პროდუქტების ჩამონათვალი შემდეგნაირია:

1. ტკბილი გაზიანი სასმელი: გაზიანი სასმელის დალევა იგივეა, რაც თხევადი ტკბილეულის მიღება. გაზიანი სასმელი სიმსუქნის ერთ-ერთი მოწინავე გამომწვევი ფაქტორია, რომელიც ასევე ზრდის სიმსივნეების, ჰორმონების დისბალანსის და ნაადრევი დაბერების რისკს. გაზიანი სასმელი არა მარტო წონის მატებას უწყობს ხელს, არამედ კარიესსა და კბილების პრობლემასაც იწვევს.

ალტერნატივა: მიირთვით ბლომად წყალი, ჩვეულებრივი, უშაქრო გაზიანი სასმელი, ჩაი და ყავა. შეგიძლიათ წყალს ლიმონის ნაჭერიც დაუმატოთ.

2. შაქარი და შაქრის შემცვლელი: არსებობენ ადამიანები, რომლებიც შაქრის მაგივრად მის შემცვლელს იყენებენ. მიუხედავად იმისა, რომ შაქრის შემცვლელებს ნული ან დაბალი კალორია აქვს, ჩვენ ჯერ არ ვიცით, რამდენად კარგია ის ჩვენი ორგანიზმისთვის. ბოლო წლების განმავლობაში მკვლევარები საკმაოდ ბევრს კამათობენ ამ საკითხზე.

ალტერნატივა: დღიურად შეამცირეთ შაქრის მოხმარება. საბოლოო ჯამში, თქვენი ორგანიზმი ამას შეეჩვევა და თავს ბევრად უკეთ იგრძნობთ.

3. „თარო-გამძლე“ სუნელებ-სანელებლები: ადამიანები ხშირად იყენებენ პაკეტებში მოთავსებულ კეტჩუპს, მაიონეზს, მდოგვს და სხვა მსგავს პროდუქტებს. ამ პროდუქტების მაცივრის გარეშე გამძლეობა მიუთითებს იმაზე, რომ მათ დამატებული აქვთ საკვების საღებავი, ხელოვნური დამატკბობლები, მარილი, მავნე ცხიმები და ქიმიური საშუალებები.

4. გადამუშავებული ხორცი: სოსისი, ბეკონი, ლორი – მკვეთრად ზრდის გულ-სისხლძარღვთა დაავადებების, ტიპი 2 დიაბეტისა და სიმსივნეების რისკს.

5. ცომეული: ყველაზე ცუდი რამ, რაც შეიძლება თქვენს ორგანიზმს შეემთხვეს. ნებისმიერი სახის ცომეული, მაღალკალორიულობის გამო, მნიშვნელოვნად ვნებს ჯანმრთელობას.

6. მარგარინი: ნაჯერი ცხიმები, (გვხვდება ცხიმში შემწვარ პროდუქტებში) – ორგანიზმში ზრდის „ცუდი“ ქოლესტერინის დონეს, რაც მომავალში მნიშვნელოვნად ზრდის გულის შეტევის რისკს.

ალტერნატივა: გამოიყენეთ ჯანსაღი კარაქი.

7. ყველაფერი რაც ზედმეტად შემწვარია: მაგალითად, ე.წ. კარტოფილი ფრი. ეს პროდუქტი არა მარტო ასუქებს, არამედ მაღალ ტემპერატურაზე შეწვის გამო იგი შეიძლება ტოქსიკურ-ქიმიურ ნივთიერებებს შეიცავდეს.

8. პიცა და სწრაფი კვების პროდუქტები: ერთ-ერთი ყველაზე არაჯანსაღი პროდუქტია. იგი მაღალკალორიულ საკვებთა ჩამონათვალს მიეკუთვნება, ვინაიდან გადამუშავებული ხორცით მზადდება. ცომი კი რაფინირებული თეთრი ფქვილით მზადდება.

ალტერნატივა: მოამზადეთ პიცა სახლში, ჯანსაღი პროდუქტებით. თუ მეტად არა, არანაკლებ გემრიელი იქნება.

საზოგადოებაში ჯანსაღი კვების წესის დასამკვიდრებლად და ამ მიმართულებით საზოგადოების ინფორმირების მიზნით, დაავადებათა კონტროლის ცენტრი „არტინფო საქართველოსთან“ ერთად სპეციალურ კამპანიას ატარებს. კამპანიის ორგანიზატორები საზოგადოებას მოუწოდებენ, ყურადღებით გაეცნონ მავნე და არაჯანსაღი საკვები პროდუქტების შესახებ ინფორმაციას და შესაძლო რისკების თავიდან ასაცილებლად შეძლებისდაგვარად გაითვალისწინონ.

კომერსანტი

„თბილისში მოსახლეობის 70%-ს ახალი ბინის შეძენის საშუალება არ აქვს“

დედაქალაქის ცენტრში უძრავ ქონებას ძირითადად უცხოელები, ემიგრანტები და მდიდარი ქართველები ყიდულობენ, პერიფერიებში კი ადგილობრივები – ტენდენცია, რომელიც უკვე წლებია არსებობს, არ შეცვლილა. ამ დროს კი, თბილისის გენერალური გეგმის მიხედვით, მოსახლეობის 70%-ს ახალი ბინის შეძენის შესაძლებლობა არ გააჩნია.

საქართველოში, განსაკუთრებით დედაქალაქში, უკვე 2 ათეულ წელზე მეტია საცხოვრებელი კორპუსების მშენებლობა აქტიურად მიმდინარეობს. თბილისის თითქმის ყველა უბანში შენდება კორპუსები, ნაწილი არის პრემიუმ-კლასის, ნაწილი კი საშუალოშემოსავლიან სეგმენტზეა გათვლილი. წლების განმავლობაში იყო ასეთი ტენდენციაც, რომ დედაქალაქის ცენტრში ბინებს ძირითადად უცხოელები და ემიგრანტები ყიდულობდნენ. შენარჩუნებულია თუ არა ეს ტენდენცია, „კომერსანტი“ ამის გარკვევას თავად დეველოპერული კომპანიების წარმომადგენლებთან შეეცადა.

როგორც კომპანიაGDG-ის ხელმძღვანელი ბეჟან წაქაძე აცხადებს, პრესტიჟულ უბნებში ბინის მყიდველებს შორის ემიგრანტები და უცხოელები ჭარბობენ. ასევე, შეინიშნება ტენდენცია, რომ განსაკუთრებული მოთხოვნა ერთ და ოროთახიან ბინებზეა.

– ადგილობრივებს ძვირადღირებული ბინის ყიდვა ნაკლებად შეუძლიათ. ეს განსაკუთრებით იგრძნობა პრესტიჟულ უბნებში – ვერა, ვაკე, მთაწმინდაზე, სადაც მყიდველებს შორის ჩვენი ემიგრანტები, მდიდარი ქართველები და უცხოელები სჭარბობენ. პერიფერიებში ვიცი, რომ მყიდველთა შორის უმრავლესობა ადგილობრივია. ასევე, არის ასეთი ტენდენცია, რომ საბურთალოზე, მთაწმინდაზე და ვაკის გარკვეულ უბნებში უფრო მეტი მოთხოვნაა მცირე ფართის ბინებზე – ერთოთახიანებზე და ოროთახიანებზე. თუმცა აბაშიძის ქუჩაზე ელიტარული სახლი რომ ავაშენეთ, იქ დიდი ფართის ბინები უფრო იყიდებოდა, – განუცხადა „კომერსანტს“ წაქაძემ.

რაც შეეხება იმ პრობლემას, რომ მოსახლეობის 70%-ს არ გააჩნია საშუალება, შეიძინოს ახალი საცხოვრებელი ფართი, ბეჟან წაქაძეც აღიარებს. მისივე თქმით, ცენტრალურ უბნებში ბინის გაყიდვის პრობლემა არ დგას, პერიფერიებში კი კონკურენციის გამო, რეალიზაცია შედარებით გართულებულია.

– სხვა წლებთან შედარებით, მოსახლეობას უძრავი ქონების ყიდვა ნამდვილად უჭირს. ქალაქის ცენტრალურ უბნებში ბინა გაუყიდავი არ რჩება, თუმცა ეს პრობლემა პერიფერიებში არსებობს. ადამიანები სესხს ვერ იღებენ არასტაბილური შემოსავლის და ლარის მერყეობის გამო. ახლა, ბოლო პერიოდში კი არის ლარი სტაბილური, მაგრამ ხვალინდელი დღის მაინც ეშინიათ. ბანკებიც იპოთეკურ სესხს იოლად არ გასცემენ. გარდა ამისა, პერიფერიებში მიწოდება ძალიან დიდია, ბაზარზე ბინები ბევრია, მყიდველი ცოტა. ამიტომაც რეალიზაცია აქ უფრო გართულებულია, – აღნიშნა წაქაძემ.

დეველოპერული კომპანია „რედკოს“ იურისტის, მალხაზ კუნელაურის განცხადებით, დედაქალაქში უძრავი ქონების მყიდველი ძირითადად ქართველია, თუმცა საკურორტო ზონებში უცხოელების მხრიდან დაინტერესება შედარებით დიდია. მისივე თქმით, გუდაურში, „რედკოს“ სასტუმრო კომპლექსში უძრავი ქონების მყიდველ უცხოელებს შორის რუსები, უკრაინელები და ყაზახები ლიდერობენ.

– გუდაურში, სადაც ჩვენი კომპანია სასტუმრო კომპლექსს აშენებს, უცხოელებიც ყიდულობენ ბინებს და ქართველებიც. უცხოელებში რუსები, უკრაინელები, ყაზახები სჭარბობენ. ჩვენს კონკრეტულ ბიზნესში დიფერენცირება არ შეინიშნება. თუმცა გუდაურში უცხოელების მხრიდან ბინების შეძენაზე მოთხოვნა უფრო დიდია, ვიდრე თბილისში. დედაქალაქში მომხმარებელი უფრო მეტად ქართველია. უცხოელებისთვის საქართველოს საკურორტო რეგიონებში ბინების შეძენა მეტად საინტერესოა. ამას არა მხოლოდ ჩვენი გაყიდვების, არამედ იმ სამშენებლო კომპანიების სტატისტიკაც ადასტურებს, ვისთანაც ჩვენ ვთანამშრომლობთ, – აღნიშნა კუნელაურმა.

ამასთან, მისი თქმით, სასტუმროს ნომრის ტიპის სახლები დიდი რაოდენობით იყიდება და ძირითადად მას გასაქირავებლად იყენებენ:

– ჩვენ ძირითადად ვაშენებთ სასტუმროს ნომრის ტიპის, სტანდარტულ სახლებს „აპარტ ოტელებს“, რომელიც 35 კვადრატულია და ასეთ სახლებს ძალიან ბევრი ყიდულობს. ეს არის მცირე ბიზნესისთვის საინტერესო ინვესტიცია, მით უმეტეს, საკურორტო რეგიონებში. ადამიანები „აპარტ ოტელებს“ ყიდულობენ, აქირავებენ და ამით პატარა ბიზნესი აქვთ წამოწყებული, – აცხადებს კუნელაური.

რაც შეეხება უცხოელების მხრიდან უძრავი ქონების შეძენით დაინტერესებას, მალხაზ კუნელაური აღნიშნავს, რომ ამას დადებითი შედეგი მოაქვს ტურიზმის განვითარებისთვის.

– ამას დადებითი შედეგი მოაქვს ქვეყნისთვის – ერთი ის, რომ უცხოელი საქართველოში ფულს ხარჯავს და მეორე ის, რომ როცა მას საქართველოში ქონება აქვს, ქვეყანაში ყოველ წელს ჩამოდის, ან ნათესავს აგზავნის და ფულს ხარჯავს. ანუ ის ფაქტი, რომ უცხოელები ბინებს ყიდულობენ საქართველოში, ტურიზმის განვითარებას წაადგება, – განაცხადა კუნელაურმა.

ამასთან, მალხაზ კუნელაურის თქმით, მოსახლეობას უძრავი ქონების შეძენა უჭირს იმის გამო, რომ მათი ფინანსური მდგომარეობა უძრავი ქონების ფასთან ადეკვატური არ არის.

– უძრავ ქონებას ადგილობრივ ბაზარზე რომ ყიდი, მისი ძირითადი მყიდველი ადგილობრივი მოსახლეობაა. რა თქმა უნდა, დღეს ადგილობრივ მოსახლეობას ბინების შეძენა უჭირს, რადგან იაფი არ არის. უძრავ ქონებასთან მიმართებით ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის ფინანსური მდგომარეობა ადეკვატური არ არის. ამას ემატება ისიც, რომ სახლის შესაძენად ბანკიდან სესხის აღება სჭირდებათ და გარკვეული ბარიერების გადალახვა უხდებათ. მიუხედავად იმისა, რომ ქართველებს უძრავი ქონების შეძენა უჭირთ, ბაზარზე მოთხოვნა მაინც არის, – აღნიშნა „რედკოს“ იურისტმა.

თბილისის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მიხედვით, „საბანკო სესხების გაცემის სისტემის ანალიზი აშკარას ხდის, რომ რეალურად, მოსახლეობის 70%-ს არ გააჩნია საშუალება შეიძინოს ახალი საცხოვრებელი ფართი. ამასთან, არსებული საბაზრო მდგომარეობით საცხოვრებელი არ არის ხელმისაწვდომი მოსახლეობის სულ მცირე 30%-სთვის. მომავალ წლებში აუცილებელი იქნება მოცემული პრობლემის ადეკვატური გადაჭრის გზების შემუშავება“ – აღნიშნულია მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში.

2017 წლის მეორე კვარტალში სადაზღვევო სექტორის წმინდა მოგება 9,9 მლნ ლარით შემცირდა

სადაზღვევო სექტორის წმინდა მოგება მეორე კვარტალში 9,9 მილიონი ლარით შემცირდა. დაზღვევის ზედამხედველობის სამსახურის მიერ გამოქვეყნებული მონაცემებით, 2017 წლის მეორე კვარტალში სადაზღვევო სექტორის წმინდა მოგებამ 2,43 მილიონი ლარი შეადგინა, 2016 წლის ანალოგიურ პერიოდში კი ეს მაჩვენებელი 12,42 მილიონი ლარი იყო.

მიუხედავად მოგების კლებისა, წინა წელთან შედარებით გაზრდილია მოზიდული პრემიის ოდენობა. სადაზღვევო სექტორმა 2017 წლის მეორე კვარტალში 247,38 მილიონი ლარი მოიზიდა, შარშან კი ეს მაჩვენებელი 229,98 მილიონი ლარი იყო.

ამასთან, გაზრდილია სადაზღვევო სექტორის აქტივების მოცულობაც, 2017 წლის მე-2 კვარტალში მან 601 მილიონი ლარი შეადგინა, წინა წლის ანალოგიურ პერიოდში კი აქტივების მოცულობა 578 მილიონი ლარი იყო.

სადაზღვევო სექტორში გაიზარდა კაპიტალის მოცულობაც და 140 მილიონი ლარი შეადგინა, რაც გასული წლის მაჩვენებელს ასევე აღემატება. შარშან კაპიტალის მოცულობა სექტორში 118 მილიონ ლარს შეადგენდა.

რაც შეეხება კონკრეტულად სადაზღვევო კომპანიებს, მოზიდული სადაზღვევო პრემიების მოცულობით სადაზღვევო კომპანია ჯიპიაი ჰოლდინგი ლიდერობს. დაზღვევის ზედამხედველობის სამსახურის სტატისტიკური მონაცემებით, 2017 წლის მეორე კვარტალში კომპანიამ 64 მილიონი ლარის სადაზღვევო პრემია მოიზიდა, რაც 14 მილიონით მეტია გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით.

მეორე ადგილზეა სადაზღვევო კომპანია ალდაგი 49 მილიონით. წინა წელთან შედარებით, მოზიდული პრემიის მოცულობა წელს 7 მილიონით არის გაზრდილი. შარშან ალდაგმა მეორე კვარტალში 42 მილიონი ლარი მიიზიდა.

მოზიდული პრემიის მოცულობით მესამე ადგილზეა იმედი L, რომელსაც მიმდინარე წლის მეორე კვარტალში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, კლება აქვს. წელს სადაზღვევო კომპანიის მიერ მოზიდული პრემიის მოცულობამ 30 მილიონი შეადგინა, შარშან კი ეს მაჩვენებელი 43 მილიონი ლარი იყო.

მცირედი კლება აქვს პსპ დაზღვევასაც. წელს კომპანიამ მეორე კვარტალში 27,28 მილიონი ლარის მოზიდვა შეძლო, შარშან კი ეს მაჩვენებელი 27,81 მილიონი ლარი იყო.

ხუთეულს სადაზღვევო კომპანია „არდი“ ასრულებს. კომპანიის მიერ მეორე კვარტალში მოზიდულმა პრემიამ 19,17 მილიონი ლარი შეადგინა, რაც შარშანდელ მაჩვენებელს დაახლოებით 3 მილიონი ლარით აღემატება. 2016 წლის მეორე კვარტალში კომპანიამ 15, 86 მილიონი ლარის მოზიდვა შეძლო.

2017 წლის II კვარტლის ბოლოს რეგისტრირებულია 16 სადაზღვევო კომპანია, 15 მათგანი ფლობს სიცოცხლის და არასიცოცხლის დაზღვევის ლიცენზიას, ხოლო ერთი მათგანი მხოლოდ არასიცოცხლის დაზღვევის ლიცენზიას.

კომერსანტი

თიბისი კაპიტალი ტოპმენეჯერებმა დატოვეს

„თიბისი კაპიტალი“ ტოპ-მენეჯერებმა ავთანდილ გიგინეიშვილმა და ლევან შანიძემ დატოვეს.

ისინი მმართველი დირექტორების პოზიციებს გასული წლის დასაწყისად იკავებდნენ და „თიბისი ბანკის“ საინვესტიციო საბანკო მიმართულებას უძღვებოდნენ, რომელიც ბაზარს სთავაზობს კორპორატიულ კონსულტაციებს, კვლევებსა და საბროკერო მომსახურებას.

რატომ დატოვეს პოსტები გიგინეიშვილმა და შანიძემ, კომპანიაში არ აკონკრეტებენ. ამბობენ, რომ მათი შემცვლელები 1 კვირაში დასახელდება.

ავთანდილ გიგინეიშვილი თიბისიში ლონდონიდან, ჟეფფერიეს Iნტერნატიონალ-ის მმართველი დირექტორობიდან მოვიდა. ის წლების განმავლობაში წარმოადგენდა ევროპისა და აშშ-ის ინსტიტუციური და საცალო სეგმენტის კლიენტების 3-მილიარდიან აქტივების მმართველ გუნდს, არის საქართველოს საფონდო ბირჟის სამეთვალყურეო საბჭოს წევრიც.

Silverhorn Investment Advisors-ის მმართველი დირექტორი ლევან შანიძე წამყვან მაკროფონდს მართავდა ჰონგ-კონგში. მუშაობდა წამყვან კომპანიებში omura, Lehman Brothers, JP Morgan და Jardine Flemings-ი (კერძო კაპიტალის დერივატივების ბიზნესის შექმნა, ინდოეთის კაპიტალის ბაზრებით ვაჭრობის ხელმძღვანელობა, კერძო კაპიტალით ვაჭრობა საერთაშორისო ბაზრებზე).

კომერსანტი

ცვლილებები, რომლებიც 1-ლი სექტემბრიდან ამოქმედდება

1 სექტემბრიდან რამდენიმე ცვლილება შედის ძალაში. „ბიზნეს-პრესნიუსი“ სექტემბრიდან დაგეგმილ რეგულაციებს გთავაზობთ:

1სექტემბრიდან დრონებთან დაკავშირებით მარეგულირებელი ნორმები ამოქმედდება

მიმდინარე წლის 1 სექტემბრიდან უპილოტო საჰაერო ხომალდების ღია კატეგორიაში ექსპლუატაციისა და საჰაერო ხომალდის მოდელის ოპერირების მარეგულირებელი ნორმები ამოქმედდება. ცვლილებების თანახმად, უპილოტო საჰაერო ხომალდების 400 ფუტზე მაღლა ექსპლუატაცია დაშვებული იქნება მხოლოდ სააგენტოს თანხმობის საფუძველზე. ამასთან, სამოქალაქო ავიაციის სააგენტოში უპილოტო საჰაერო ხომალდების რეგისტრაციის, ასევე სპეციფიკურ კატეგორიაში ფრენის მოთხოვნები ძალაში 2017 წლის 1 ნოემბრიდან შევა. ხოლო უპილოტო საჰაერო ხომალდების სერტიფიცირების ნაწილი 2020 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდება. სექტემბრიდან მიმოქცევაში განახლებული 5-ლარიანი ბანკნოტები ჩაეშვება

განახლებული 5-ლარიანი მიმოქცევაში იქნება წინა ემისიების ბანკნოტებთან ერთად. ბანკნოტზე შენარჩუნებულია თავდაპირველი თემატიკა: წინა მხარეს გამოსახულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის განსხვავებული პორტრეტი გაუმჯობესებული რელიეფურობის ხარისხითა და მოცულობით. ბანკნოტის უკანა მხარეს/რევერსზე გამოსახულია ნიკო ფიროსმანის ტილოები – „მეთევზე წითელ პერანგში“ და „კალო“, ასევე, საქართველოს სახელმწიფო გერბი. დიზაინის ავტორი ბაჩა მალაზონიაა.

1სექტემბერს „საქართველოს ლატარიის კომპანია“ „ლოტო 6/36-ის ბოლო, რიგით 796-ე გათამაშებას ჩაატარებს. 1 სექტემბრიდან „საქართველოს ლატარიის კომპანია“ საქმიანობას წყვეტს. რის შემდეგაც 2027 წლამდე საქართველოში ლატარიას შპს „ჯი ენ ელ“ ჩაატარებს.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ 1 სექტემბრიდან პოლიეთილენის პარკების გამოყენებაზე გარკვეული რეგულაციების ამოქმედებაც იგეგმებოდა. კერძოდ, 1-ელი სექტემბრიდან 10 მიკრონზე ნაკლები სისქის პოლიეთილენის პარკების იმპორტი და წარმოება უნდა აკრძალულიყო.

თუმცა, როგორც გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში აცხადებენ, პარლამენტმა აღნიშნული კანონპროექტის განხილვა და დამტკიცება ვერ მოასწრო. შესაბამისად, ამ დროისთვის უცნობია, აღნიშნული აკრძალვა 1-ელი სექტემბრის ნაცვლად როდიდან ამოქმედდება.

ბიბიენი

უჩა ნანუაშვილი: „ლაფანყურთან ჩატარებული სპეცოპერაციის შემდეგ 5 წელი გავიდა, თუმცა დანაშაული კვლავაც გამოუძიებელია“

– 5 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც 2012 წლის 28-29 აგვისტოს სოფელ ლაფანყურთან ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად გარდაიცვალა არაერთი ადამიანი როგორც შეიარაღებული დაჯგუფების, ისე საქართველოს სამართალდამცავი უწყებების რიგებში, თუმცა დანაშაული კვლავაც გამოუძიებელია.

ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ სახალხო დამცველის აპარატიდან აცნობეს.

ომბუდსმენის აპარატის ცნობით, დაღუპულთა ოჯახები ამ დრომდე არ არიან დაზარალებულად ცნობილნი, რის გამოც ვერ ახერხებენ საქმის მასალების გაცნობას. სახალხო დამცველი საგამოძიებო ორგანოებს მოუწოდებს დანაშაული დროულად და ეფექტიანად გამოიძიონ.

– 2017 წლის 27 აგვისტოს საქართველოს სახალხო დამცველი სოფელ დუისში სპეცოპერაციის შედეგად გარდაცვლილი ქისტების ოჯახების წევრებს შეხვდა, ასევე მოინახულა ლაფანყურში დაღუპული სპეცრაზმელის არჩილ ჩოხელის დედა. გარდაცვლილთა ახლობლები კვლავ გამოძიების მოლოდინში არიან. ამ დრომდე არც ერთი ოჯახი არ არის დაზარალებულად ცნობილი, შესაბამისად, ახლობლები ვერ ახერხებენ საქმის მასალების გაცნობას. მათთვის უცნობია როგორც ექსპერტიზის დასკვნა, ისე ექსჰუმაციის შედეგები.

საკითხისადმი მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის და დაზარალებულ პირთა უფლებების ეფექტურად დაცვის მიზნით, ჯერ კიდევ 2013 წლის 22 ოქტომბერს, საქართველოს სახალხო დამცველმა შექმნა საზოგადოებრივი საბჭო, ჩატარებული სპეცოპერაციის ფარგლებში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევის ფაქტების შესწავლისა და დოკუმენტირების მიზნით.

2014 წელს გამოქვეყნებულ საზოგადოებრივი საბჭოს ანგარიშის შედეგად საქართველოს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა საქართველოს პარლამენტს, შექმნილიყო საპარლამენტო დროებითი საგამოძიებო კომისია, რომელიც გამოიკვლევდა სოფელ ლაფანყურთან მომხდარ ფაქტს, თუმცა, სამწუხაროდ, საქართველოს პარლამენტმა დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნაზე უარი განაცხადა.

ჩატარებული სპეციალური ოპერაციის შედეგად, ადამიანის უფლებათა სავარაუდო დარღვევები, ძალოვანი სტრუქტურების მიერ შესაძლო დანაშაულები და გამოძიების პროცესში არსებული ხარვეზები დეტალურად იქნა განხილული საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშებშიც.

საქართველოს სახალხო დამცველი მოუწოდებს საგამოძიებო ორგანოებს დანაშაულის დროულ და ეფექტიან გამოძიებას. ასევე, სახალხო დამცველი კვლავ გამოხატავს უკმაყოფილებას იმის შესახებ, რომ მისი შეთავაზება – შექმნილიყო დამოუკიდებელი საგამოძიებო კომისია, უსაფუძვლოდ და არაგონივრულად, არ იქნა გათვალისწინებული.

მსგავსი დანაშაულების მიმართ სახელმწიფოს სტრუქტურების გულგრილი დამოკიდებულება პირდაპირ მიუთითებს ქვეყანაში ადამიანის უფლებათა დაცვის მცირე კოეფიციენტსა და საზოგადოების მიმართ სახელმწიფო აპარატის ანგარიშვალდებულების დაბალ დონეზე, რაც ერთობლიობაში აზიანებს და სრულიად გამორიცხავს ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებას, – აღნიშნულია სახალხო დამცველის ინფორმაციაში.

ბორჯომის გამგებელს ხანძრის მიზანმიმართულ გაჩენაში ადანაშაულებენ

ბორჯომის მკვიდრი პაატა ჯავახიძე ამტკიცებს, რომ ბორჯომის ხეობაში „გამგებელმა დაანთებინა ცეცხლი“. მოქალაქე ირწმუნება, რომ ბორჯომის გამგებლის სატელეფონო საუბარი მოისმინა, სადაც, ჯავახიძის თქმით, დიმიტრი ყიფიანი, თითქოს ტელეფონზე დაუდგენელ პირს ეუბნებოდა, რომ ამდენი ცეცხლი აღარ უნდა და ხანძარი გაექცა.

პაატა ჯავახაძე ახალციხის პროკურატურაში უკვე დაკითხეს. ჯავახიძის თქმით, ცეცხლი მიზანმიმართულად გაჩნდა და ამის შესახებ ბორჯომის გამგებელიც საქმის კურსში იყო.

– ცეცხლი გააჩინა ბორჯომის გამგეობამ. გამგებელმა დაანთებინა ცეცხლი. თვითონ მოვისმინე, როგორ თქვა, ელაპარაკებოდა თავის ახლობელს, „გაგვექცა“ ცეცხლიო, – აცხადებს პაატა ჯავახიძე.

ციანიდის საქმეზე პირველ სექტემბერს დასკვნითი სხდომა გაიმართება

ციანიდის საქმეზე პირველ სექტემბერს დასკვნითი სხდომა გაიმართება. 1-ლი სექტემბრის სხდომაზე თავად ბრალდებული, დეკანოზი გიორგი მამალაძეც საბოლოო სიტყვით მიმართავს სასამართლოს, რის შემდეგაც მოსამართლე ბესიკ ბუგიანიშვილი განაჩენის გამოსატანად გავა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ დეკანოზ გიორგი მამალაძის ადვოკატმა მიხეილ რამიშვილმა განუცხადა, დაცვის მხარეს დასკვნითი სიტყვა უკვე მზად აქვს და მასში ყველა იმ გარემოებაზე გაამახვილებს ყურადღებას, რომელიც მამა გიორგი მამალაძის უდანაშაულობას ამტკიცებს.

– თუ მოსამართლე მიიღებს სამართლიან გადაწყვეტილებას და წესით და კანონით, უნდა გამოიტანოს გამამართლებელი განაჩენი, ამით დადასტურდება, რომ სასამართლო დამოუკიდებელია. თუ არ მიიღო ეს გადაწყვეტილება სასამართლომ, ეს ნიშნავს, რომ არათუ სასამართლო, თვით ეკლესიაც არ ყოფილა დამოუკიდებელი, სახელმწიფოსთან საკონსტიტუციო შეთანხმების მიუხედავად. დეკანოზის გამტყუნება იქნება კატასტროფა, რადგან სასამართლო ამით სასულიერო პირების ჩვენებების იგნორირებას მოახდენს, – განაცხადა მიხეილ რამიშვილმა.

ზემო ლარსის საზღვარზე კანონიერი ქურდი დააკავეს

ზემო ლარსის სასაზღვრო-გამშვებ პუნქტზე ქართული კრიმინალური სამყაროს ერთ-ერთი ლიდერი დააკავეს.

ამის შესახებ „რია ნოვოსტი“ იუწყება, თუმცა მედიასაშუალება დაკავებულის ვინაობას არ ასახელებს.

რუსეთის უსაფრთხოების ფედერალური სამსახურის ცნობით, დაკავებული პირი საზღვრის გადაკვეთას ყალბი საბუთებით ცდილობდა.

თავდაპირველად, საზღვრის კვეთისას, მან რუსეთის მოქალაქის პასპორტი წარადგინა, რამაც მესაზღვრეები დააეჭვა. დაკავებისას პირს რამდენიმე ყალბი დოკუმენტი აღმოაჩნდა. რუსული მედიის ინფორმაციით, ოპერატიულმა თანამშრომლებმა დაადგინეს, რომ დაკავებული საქართველოს მოქალაქეა, რომელიც რამდენიმეჯერ არის ნასამართლევი როგორც საკუთარ ქვეყანაში, ისე რუსეთში.

რიკოთთან მგზავრებით სავსე ავტობუსი ამოტრიალდა

იმერეთში, სოფელ ეწერის მიმდებარე ტერიტორიაზე, ქუთაისიდან თბილისის მიმართულებით მოძრავ ავტობუსს საპირისპირო მიმართულებიდან გადმოსული მსუბუქი ავტომობილი დაეჯახა, რის შედეგადაც მიკროავტობუსი გადაბრუნდა.

შემთხვევის შედეგად ორი მგზავრი მსუბუქად დაშავდა.

გურჯაანში ავტომობილი 15 წლის მოზარდს დაეჯახა

15 წლის მოზარდის ჯანმრთელობის მდგომარეობა კვლავ მძიმეა. სკოლის მოსწავლეს გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩალაუბანში ავტომობილი გუშინ, საღამოს საათებში შეეჯახა.

მოზარდს გურჯაანის ჯეოჰოსპიტალში გადაუდებელი ოპერაცია ჩაუტარდა.

არსებული ინფორმაციით, მძღოლი მანქანას ნასვამ მდგომარეობაში მართავდა.

როგორც „ნიუპოსტს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის პირველი ნაწილით დაიწყო, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესების დარღვევას გულისხმობს, რამაც ადამიანის ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება გამოიწვია.

შს სამინისტროში ამბობენ, რომ მძღოლის ვინაობა დადგენილია.

განსაკუთრებით დიდი ოდენობით უაქციზო საქონლის გადაზიდვის ფაქტზე ორი პირი დააკავეს

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, გატარებული ოპერატიულ – სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, საქართველოს საბაჟო საზღვარზე, განსაკუთრებით დიდი ოდენობით საქონლის გადაადგილებასთან დაკავშირებული წესის დარღვევისა და მარკირებას დაქვემდებარებული განსაკუთრებით დიდი ოდენობით აქციზური საქონლის აქციზური მარკის გარეშე გადაზიდვის ფაქტზე, ორი პირი დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ აღნიშნული პირები, „DAF“– ის მარკის ავტობუსში მოწყობილი სამალავებით, საბაჟო – გამშვები პუნქტი „სარფის“ გავლით, საბაჟო კონტროლისგან მალულად, საქართველოს ტერიტორიიდან საბაჟო წესის დარღვევით, ცდილობდნენ გადაეტანათ დეკლარირებას დაქვემდებარებული, განსაკუთრებით დიდი ოდენობით – 48.920 კოლოფი უაქციზო სიგარეტი.

საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ამოღებულია უაქციზო საქონელი, რომლის საბაზრო ღირებულება ჯამში 171 220 ლარს შეადგენს.

საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 214-ე მუხლის მე-5 და მე-200 მუხლის მესამე ნაწილებით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ვადით 8-დან 11 წლამდე.

გელათის მონასტერში ტურისტები გაქურდეს

გელათის სამონასტრო კომპლექსთან ტურისტები გაქურდეს. როგორც ცნობილია, წაღებულია რამდენიმე ჩანთა. ტურისტებს ავტომობილი პარკინგზე გაუტეხეს.

როგორც „ნიუპოსტს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც ქურდობას გულისხმობს.

გაჩიანში 42 წლის მამაკაცის წამების ფაქტზე კიდევ ერთი პირი დააკავეს

გაჩიანში 42 წლის მამაკაცის წამების ფაქტზე კიდევ ერთი პირი დააკავეს. ფაქტს „ნიუპოსტთან“ შს სამინისტრო ადასტურებს.

ამ დროისთვის წამებისა და გაუპატიურების საქმეზე ხუთი პირია დაკავებული. მათ აღკვეთის ღონისძიების სახით წინასწარი პატიმრობა აქვთ შეფარდებული.

რაც შეეხება თავად ძალადობის მსხვერპლს, 42 წლის მამაკაცის სიცოცხლეს საფრთხე აღარ ემუქრება.

ოჯახის ინფორმაციით, ის რეანიმაციიდან პალატაში გადაიყვანეს.

21 აგვისტოს სოფელ ყარაჯალაში 42 წლის მამაკაცი ეჭვიანობის ნიადაგზე რამდენიმე პირმა ჯერ ცემა და შემდეგ გააუპატიურა.

ახლო აღმოსავლეთში, შესაძლოა, საქართველოდან წასული ობოლი ბავშვებიც აღმოჩნდნენ

ერაყის თავდაცვის სამინისტრო ისლამური სახელმწიფოს მებრძოლებისგან ქვეყნის გათავისუფლებას აანონსებს

მარიამ მჭედლიშვილი

როგორც ცნობილია, სირიაში დაიღუპა 31 წლის ლევან ტოხოსაშვილი თავის ცოლ-შვილთან ერთად. ომალოელი ტოხოსაშვილი სირიაში ოჯახით ორი წლის წინ წავიდა.

ახლო აღმოსავლეთში ტერორისტული დაჯგუფება „ისლამური სახელმწიფოს“ რიგებში საბრძოლველად კავკასიის მთელი რეგიონიდან დიდი რაოდენობით ხალხია წასული. ნაწილი – ოჯახებიანად. ეს მებრძოლები უკან დაბრუნებას არ გეგმავდნენ და ცოლ-შვილი თან წაიყვანეს.

ბოლოდროინელმა შეტევებმა ხალიფატის ძალებზე, „ისლამური სახელმწიფო“ ფაქტობრივად დაშალა. ამას მსხვერპლი მოჰყვა. არის ისეთი შემთხვევები, როცა სხვა ქვეყნებიდან ჩასული ისლამისტები სირიასა და ერაყში დაიხოცნენ, მათი შვილები კი გადარჩნენ. ბავშვების ნაწილი დაობლებულია და მოსულის ბავშვთა სახლში იმყოფება. ბრძოლების გაგრძელება ახალ მსხვერპლს გამოიწვევს. არის საფრთხე, რომ დაობლებული ბავშვების რაოდენობა კიდევ მოიმატებს.

შესაძლოა, მათ შორის, საქართველოდან წასულებიც აღმოჩნდნენ. რამდენიმე დღის წინ სამშობლოში, დაღესტანში უპატრონოდ დარჩენილი 5 იქაური ბავშვი დააბრუნეს.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ დაიწყო მუშაობა ასტრახანელი ქალის განცხადების საფუძველზე. მან საკუთარი შვილიშვილი ბაღდადის ბავშვთა სახლში, ვიდეოჩანაწერში ნახა. ბავშვი ახლო აღმოსავლეთში დაიბადა. მისი შვილი და სიძე სირიაში რამდენიმე წლის წინ წავიდნენ. შვილიშვილის ფოტოები შვილმა გამოუგზავნა. მანვე დედას აცნობა ქმრის დაღუპვის ამბავი. ამის შემდეგ დედა-შვილს შორის კავშირი დაიკარგა.

რუსეთის ხელისუფლება ამჟამად 48 ბავშვის დაბრუნებაზე მუშაობს.

აქტიური ბრძოლები ისლამური სახელმწიფოს წინააღმდეგ სირიასა და ერაყში გრძელდება. ამ ომში დამარცხება გამოიწვევს დარჩენილი ტერორისტების ადგილსამყოფელის შეცვლას, მათ გაშლას. ჯიჰადისტების ჯგუფები იმყოფებიან ავღანეთსა და ლიბიაშიც. ლიბიაში მათ საწვრთნელი ბანაკების მოწყობაც მოასწრეს.

ერაყის სამხედროები აცხადებენ, რომ ერაყი მალე სრულად გათავისუფლდება ისლამური სახელმწიფოს მებრძოლებისაგან. ეს მოხდება ალ-აიადიას ოპერაციის დასრულების შემდეგ.

– ჩვენი სადაზვერვო მონაცემებით, ისლამური სახელმწიფოს ყველაზე თავზეხელაღებული მებრძოლები დასახლებულ პუნქტ ალ-აიადიაში იმყოფებიან, – აღნიშნავს ერაყის თავდაცვის უწყების წარმომადგენელი.

რადიკალი ისლამისტები პარალელურად აგრძელებენ სისხლიან ტერორს. ვატიკანსა და იტალიაში მოსალოდნელი ტერორისტული აქტების შესახებ ჟურნალისტებს ვატიკანის სახელმწიფო მდივანმა, პიეტრო პაროლინმა აცნობა.

პაროლინმა აღნიშნა, რომ არსებობს ვიდეო, რომელშიც პირდაპირ გაისმის მუქარა რომის პაპ ფრანცისკეს მიმართ. ტერორისტები მის განადგურებას გეგმავენ. არის კიდევ ერთი ვიდეო, რომელიც ადასტურებს, რომ ტერაქტები იტალიასაც ემუქრება.

ტერაქტები გრძელდება საქართველოს სიახლოვეს. ისლამურმა სახელმწიფომ თავის თავზე აიღო კიდევ ორი სისხლიანი თავდასხმა. ისინი დაღესტნის ორ ქალაქში თითქმის ერთდროულად განხორციელდა. ერთი – კასპიისკში, მეორე – ხასავიურტში. ორივე შემთხვევაში ეს იყო თავდასხმები პოლიციელებზე. ამ იერიშებს ოთხი პოლიციელი და 4 ტერორისტი შეეწირა.

კასპიისკში შემთხვევის ადგილზე ისლამური სახელმწიფოს დროშა აღმოაჩინეს. ეს ტერაქტი დანებით მოაწყო ორმა ახალგაზრდამ. ორივე სახელოსნოში მუშაობდა. ერთი მათგანი აყვანილი იყო აღრიცხვაზე, როგორც რადიკალური რელიგიური შეხედულებების მქონე პირი.

ფხენიანის რაკეტამ იაპონიას გადაუფრინა

ჩრდილოეთ კორეა რაკეტების გამოცდას განაგრძობს. ამჯერად ფხენიანის მიერ გამოშვებულმა ბალისტიკურმა რაკეტამ იაპონიის კუნძულ ჰოკაიდოს გადაუფრინა და ზღვაში ჩაეშვა.

ეს დილაადრიან მოხდა. იაპონიის შეიარაღებულ ძალებს რაკეტის ჩამოგდება არ უცდიათ.

იაპონიის პრემიერმა აბემ განაცხადა, რომ მთავრობა მოსახლეობის დასაცავად ყველაფერს იღონებს. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა რიაბკოვმა კი თქვა, რომ ჩრდილოეთ კორეაზე სანქციებმა თავისი თავი ამოწურა.

– ახალი სანქციების დაწესებას აზრი არა აქვს. პრობლემის სამხედრო გზით გადაჭრაც არ არსებობს. ის პოლიტიკური მეთოდებით უნდა გადაწყდეს, – აცხადებს რიაბკოვი.

სამხრეთ კორეამ ფხენიანის მიერ რაკეტის გაშვების ფაქტი დაგმო. მან საპასუხო ღონისძიებასაც მიმართა. სამხრეთ კორეის თვითმფრინავებმა ბომბები ჩამოყარეს პოლიგონზე, რომელიც ჩრდილოეთ კორეის საზღვრის მახლობლად მდებარეობს.

სამხრეთ კორეამ ფხენიანს გარკვევით მიანიშნა, რომ ძალას ძალა დაუპირისპირდება.

ტრამპმა ფინეთის პრეზიდენტი მიიღო

ფინეთის პრეზიდენტი ნიინისტე აშშ-ში ოფიციალური ვიზიტით ჩავიდა. ის პირადად ტრამპმა მიიღო. მოლაპარაკებების ძირითადი თემა რუსული საფრთხე და ამ ფონზე ფინეთ-აშშ-ის ურთიერთობების განვითარება გახლდათ.

პრესკონფერენციაზე ერთ-ერთი ფინელი ჟურნალისტი ტრამპს შეეკითხა, რუსული საფრთხის წინააღმდეგ რა ღონისძიებები აქვს დასახული. ტრამპმა ფრიად საინტერესო პასუხი გასცა:

– აშშ-ს უამრავი საფრთხე ემუქრება! ნახეთ, მსოფლიოში რა ხდება! თუმცა ჩვენ ყველა ამ გამოწვევას გავუმკლავდებით, – მიუგო ტრამპმა.

აშშ-ის პრეზიდენტმა მაღალი შეფასება მისცა იმ ღონისძიებებს, რომელთაც ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების საქმეში ფინეთის პრეზიდენტი ატარებს. ამავე დროს, პრეზიდენტმა გამოთქვა იმედი, რომ რუსეთ-აშშ-ის ურთიერთობები დარეგულირდება.

– დარწმუნებული ვარ, ადრე თუ გვიან, ჩვენი და რუსეთის ურთიერთობები დარეგულირდება, – თქვა ტრამპმა.

პრეზიდენტის ამ სიტყვებმა ამერიკულ დიპლომატიურ წრეებში გაოცება გამოიწვია.

– არ მესმის, რით ხელმძღვანელობდა ტრამპი, როცა ასეთ განცხადებას აკეთებდა, – ამბობს აშშ-ის ყოფილი ელჩი რუსეთში მაიკ მაკფოლი.

სირიაში კიდევ ერთი რუსი სამხედრო დაიღუპა

სირიაში კიდევ ერთი რუსი სამხედრო დაიღუპა. რადიო „თავისუფლების“ ცნობით, მისი გვარია აგაფეროვი. მისი ავტომობილი ფუგასზე აფეთქდა.

ვარაუდობენ, რომ აგაფეროვი კომპანია ვაგნერის წარმომადგენელია და სირიაში კონტრაქტით იმყოფებოდა.

რუსეთის თავდაცვის სამინისტრო მისი დაღუპვის შესახებ არ იტყობინება.

მერკელი და მაკრონი დონბასში მშვიდობას მოითხოვენ

გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა და საფრანგეთის ლიდერმა მაკრონმა შეშფოთება გამოთქვეს დონბასში შექმნილი მდგომარეობის გამო. სამშვიდობო შეთანხმებები არ სრულდება, შეტაკებებს ბოლო არ უჩანს.

– მივმართავ როგორც რუსეთის პრეზიდენტ პუტინს, აგრეთვე პოროშენკოსაც, გაატარონ დონბასში მშვიდობის აღდგენისაკენ მიმართული ზომები, – თქვა მერკელმა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

ნანა ნადარეიშვილი: მაწუხებდა დისბაქტერიოზი, პარალელურად დამეწყო თმის ცვენა, მივმართე ქალბატონ ლამარას, ჩავიტარე მკურნალობა მისი მითითებით. ორ კვირაში მქონდა იდეალური შედეგი.

ხვიჩა გოგბია: კანზე მქონდა გამონაყარი, ქალბატონი ლამარას დამზადებული სითხეებით ორგანიზმი გავიწმინდე, ვიყენებდი მისივე დამზადებულ მალამოებს, შედეგი მაქვს. დიდი მადლობა ქალბატონ ლამარას.

მზია დუნდუა: მქონდა ქალური პრობლემები, მივაკითხე ქალბატონ ლამარას და ვარ უკვე გამოჯანმრთელებული. დღესაც ვაგრძელებ მკურნალობას მისი მითითებით.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

განცხადებები

● საწყობში გვჭირდება ორი თანამშრომელი, მეწარმის გამოცდილებით. სასურველია რუსული ენის ცოდნა. ტელ: 599-61-75-82.

● განყოფილების ხელმძღვანელს ესაჭიროება თანაშემწე პერსონალის შესარჩევად. სასურველია რუსული ენის ცოდნა. ტელ: 555-57-83-54.

გთავაზობთ სამსახურს

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

● რუსულენოვან კომპანიას ესაჭიროება უფროსის მოადგილე. სამუშაო გამოცდილება აუცილებელია. ტელ: 579-02-49-90.

მკურნალობა

●სტომატოლოგიური მომსახურეობა ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 130 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

●კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობამამაკაცებისათვისგარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომპანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავისმკურნალობა,კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

მარტინ ონილი: „თბილისში იოლი თამაში არ გვექნება“



საქართველოს საფეხბურთო ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩს 2 სექტემბერს ირლანდიასთან გამართავს. ჩვენი მეტოქეების მთავარმა მწვრთნელმა მარტინ ონილმა მომავალ მატჩზე კომენტარი გააკეთა და აღნიშნა, რომ თბილისში იოლ მატჩს არ ელის.

მარტინ ონილი:

– ჩემ ფეხბურთელებს ვაფრთხილებ, რომ ბოლომდე პასუხისმგებლობით მოეკიდონ ამ შეხვედრას. საქართველოს ნაკრები რომელიმე სხვა ჯგუფში რომ იყოს, მისი სატურნირო მდგომარეობა გაცილებით უკეთესი იქნებოდა. ხშირად ხდება ისე, რომ ქართველები კარგად თამაშობენ და ნებისმიერ მოწინააღმდეგეს პრობლემას უქმნიან. მათ ჰყავთ გამორჩეული ინდივიდუალისტები, რომელთაც ბევრი რამის შექმნა შეუძლიათ მინდორზე. ჩვენი მოწინააღმდეგის რიგებში ბევრი კარგი ახალგაზრდა ფეხბურთელია და ყურადღება ამასაც უნდა მივაქციოთ... სერბეთთან საშინაო შეხვედრა 5 სექტემბერს გვაქვს, მაგრამ ჯერ ამ მატჩზე ფიქრი დაუშვებელია! მართალია, ჩვენ და სერბეთი შესარჩევ ჯგუფს ვლიდერობთ, მაგრამ სანამ საქართველოსთან მატჩი ჯერ კიდევ წინ არის, ნებისმიერ სხვა რამეზე ფიქრი არ შეიძლება! ჩვენ მხოლოდ მაშინ უნდა ვიფიქროთ სერბებთან მატჩზე, როცა თბილისს დავტოვებთ... საქართველოსთან შეხვედრაში ბოლომდე დაგვჭირდება მობილიზება. ეს ყველა ფეხბურთელმა ძალიან კარგად იცის. მჯერა, ისინი გაითავისებენ დიდ პასუხისმგებლობას... თბილისში თამაში იოლი არასოდეს არის. ჩვენ საქმე გვექნება სერიოზულ მოწინააღმდეგესთან, რომელსაც ზურგს საკუთარი კედლები გაუმაგრებს.

შეგახსენებთ, რომ თბილისურ მატჩში ირლანდიის ნაკრებს კაპიტანი და ერთ-ერთი ლიდერი, ევერტონის უკანახაზელი, ტრავმირებული სიმუს კოულმენი დააკლდება, ხოლო ონის გაფართოებული შემადგენლობა ასეთია:

მეკარეები: დარენ რენდოლფი (მიდლსბრო, ინგლისი), კიერან ვესტვუდი (უენსდი, ინგლისი), რობ ელიოტი (ნიუკასლი, ინგლისი), კოლინ დოილი (ბრედფორდი, ინგლისი);

მცველები: ჯონ ოში (სანდერლენდი, ინგლისი), სტეფან ვარდი, კევინ ლონგი (ორივე ბარნლი, ინგლისი), პოლ მაკშეინი (რედინგი, ინგლისი), კლარენ კლარკი, ალექს პირსი (ორივე დერბი, ინგლისი), კირუს კრისტი (მიდლსბრო, ინგლისი), შეინ დაფი (ბრაიტონი, ინგლისი), გრეგ კანინგემი (პრესტონი, ინგლისი), ჯონ იგანი (ბრენტფორდი, ინგლისი), მეტ დოჰერტი (ვულვზი, ინგლისი);

ნახევარმცველები: ეიდენ მაკგიდი (სანდერლენდი, ინგლისი), გლენ ველანი, კონორ ჰურიჰანი (ორივე ასტონ ვილა, ინგლისი), ჯეიმს მაკლინი (ვესტ ბრომვიჩი, ინგლისი), ჯეიმს მაკარტი (ევერტონი, ინგლისი), ვეს ჰულაჰანი (ნორვიჩი, ინგლისი), რობი ბრეიდი, ჯეფ ჰენდრიკი (ორივე ბარნლი, ინგლისი), დევიდ მეილერი (ჰალი, ინგლისი), სტეფან ქუინი, ლაიამ კელი (ორივე რედინგი, ინგლისი), ონან ოკონი (ლიდსი, ინგლისი), ჰარი არტერი (ბორნმუთი, ინგლისი), კალუმ ოდოვა (ბრისტოლი, ინგლისი), ჯონი ჰეისი (სელტიკი, ინგლისი), დერილ ჰორგანი, ალან ბრაუნი (ორივე პრესტონი, ინგლისი);

თავდამსხმელები: შეინ ლონგი (საუთჰემპტონი, ინგლისი), კევინ დოილი (კოლორადო, აშშ), ჯონათან უოლტერსი (ბარნლი, ინგლისი), დერილ მერფი (ნოტინგემი, ინგლისი), დევიდ მაკგოლდრიკი (იფსვიჩი, ინგლისი), შონ მაგუაირი (პრესტონი, ინგლისი).

მოამზადა მისეილ ყორეოლიანმა

შედეგები

28 აგვისტო
ფეხბურთი

ესპანეთი. მე-2 ბუნდესლიგა
ბარსელონა ბ-ტენერიფე 0:3
გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა
აინტრახტი-ბრაუნშვაიგი 1:1
იტალია. სერია ბ
ბარი-ჩეზენა 3:0
საფრანგეთი. მე-2 ლიგა
ორლეანი-ლანსი 2:0
ბოსტონი. ბუნდესლიგა
პორტიმორენსე-მარიტიმუ..... 1:2
საბერძნეთი. სუპერლიგა
ლარისა-ასტერასი 1:1

საქართველო ისრაელში ჩავიდა

საქართველოს ეროვნული ნაკრები ათენიდან თელ ავივში გაემგზავრა, სადაც 31 აგვისტოდან ევროპის ჩემპიონატში ჩაებმება.

საქართველოს ნაკრების ბერძენმა მთავარმა მწვრთნელმა ილიას ზუროსმა ევრობასკეტ 2017-თვის გუნდის საბოლოო, 12-კაციანი განაცხადი დაასახელა. მოგეხსენებათ, ჩვენები ათენში „აკროპოლისის თასზე“ 13 კალათბურთელით იყვნენ ჩასული, ბოლო მომენტში კი ელადელმა სპეციალისტმა შინ ბექა ბექაური გაისტუმრა.

მაშ ასე, ევრობასკეტზე საქართველოს ეროვნული გუნდის განაცხადი ასეთია:

უკანახაზელები: მაიკლ დიქსონი, გიორგი გამყრელიძე, გიორგი ცინცაძე, ანატოლი ბოისა, დუდა სანაძე;

ფორვარდები: მანუჩარ მარკოიშვილი, მიხეილ ბერიშვილი, თორნიკე შენგელია, ილია ლონდარიძე;

ცენტრები: ზაზა ფაჩულია, გიორგი შერმადინი, გოგა ბითაძე.

შეგახსენებთ, რომ კონტინენტის პირველობას 4 ქვეყანა მასპინძლობს და ჩვენები ისრაელში მოხვდნენ, სადაც ჯგუფში მეტოქეებად ლიტვა, ისრაელი, იტალია, გერმანია და უკრაინა ეყოლება.

დანარჩენ ჯგუფებს რუმინეთი, ფინეთი და თურქეთი მასპინძლობენ. თითოეული, 6-გუნდიანი ჯგუფიდან პლეი ოფის საგზურს 4 საუკეთესო მოიპოვებს და ჯამში 16 ნაკრები თურქეთის ქალაქ სტამბოლში მოიყრის თავს, სადაც ევროპის ჩემპიონობისთვის ბრძოლა მერვედფინალიდან გაგრძელდება.

პლეი ოფის პირველ წრეში გუნდები ჯვარედინი სისტემით დაწყვილდებიან. ერთმანეთს ა-ბ და ც-დ ჯგუფების კვალიფიკანტები შემდეგი თანმიმდევრობით შეხვდებიან ერთმანეთს:

ბ2-ა3; ც1-დ4; ა1-ბ4; დ2-ც3; ბ1-ა4; ც2-დ3; ა2-ბ3; დ1-ც4.

შესაბამისად, საქართველოს ოთხეულში მოხვედრისა და პლეი ოფში გასვლის შემთხვევაში, მერვედფინალში მეტოქედ ა ჯგუფის წარმომადგენელი ეყოლება, ხოლო მეოთხედფინალში უკვე ც და დ ჯგუფების წარმომადგენელი ელის.

საქართველოს ნაკრები ევრობასკეტის ჯგუფურ ეტაპზე თელ ავივში იასპარეზებს და პირველ მატჩს 31 აგვისტოს ლიტვასთან ჩაატარებს.

ჩვენი ჯგუფის სრული კალენდარი კი ასეთია:

31 აგვისტო: გერმანია-უკრაინა; ლიტვა-საქართველო; იტალია-ირაელი;

2 სექტემბერი: საქართველო-გერმანია; უკრაინა-იტალია; ისრაელი-ლიტვა;

3 სექტემბერი: საქართველო-უკრაინა; ლიტვა-იტალია; გერმანია-ისრაელი;

5 სექტემბერი: უკრაინა-ლიტვა; იტალია-გერმანია; ისრაელი-საქართველო;

6 სექტემბერი: გერმანია-ლიტვა; საქართველო-იტალია; ისრაელი-უკრაინა.

ნბა-ს ვარსკვლავები ევრობასკეტზე

ამ ევრობასკეტს რამდენიმე ვარსკვლავი დააკლდება, რომელთა თაობაზე ვწერდით, თუმცა, არც მათ ნაკლებობას განიცდის.

მარტო ნბა-დან ევრობასკეტზე 31 კალათბურთელი იქნება, აქედან მოქმედი ჩემპიონი მხოლოდ ერთია – ზაზა ფაჩულია.

ოკეანის გაღმიდან ევრობასკეტზე ყველაზე მეტი კალათბურთელი ესპანელებს ეყოლებათ – 6. ესენი არიან: პაუ გასოლი (სან ანტონიო), მარკ გასოლი (მემფისი), რიკი რუბიო (იუტა), ალექს აბრინესი (ოკლაჰომა), ხუანჩო ერნანგომესი (დენვერი), ვილი ერნანგომესი (ნიუ იორკი);

ნბა-ს ვარსკვლავები სხვა გუნდებში ასე გადანაწილდნენ:

ხორვატია: ბოიან ბოგდანოვიჩი (ინდიანა), დრაგან ბენდერი (ფინიქსი), დარიო სარიჩი (ფილადელფია);

საფრანგეთი: ევან ფურნიე (ორლანდო), ბორის დიაო (იუტა), ჟოფრეი ლოვრენი (სან ანტონიო);

გერმანია: დენის შრიოდერი (ატლანტა), დანიელ ტიესი (ბოსტონი);

ლატვია: კრისტაპს პორზნიგისი (ნიუ იორკი), დევის ბერტანსი (სან ანტონიო);

ლიტვა: მინდაიგას კუზმინსკასი (ნიუ იორკი), იონას ვალანჩუნასი (ტორონტო);

სერბეთი: ბოგდან ბოგდანოვიჩი (საკრამენტო), ბოიან მარიანოვიჩი (დეტროიტი);

თურქეთი: ფურკან კორკმაზი (ფილადელფია), გედი ოსმანი (კლივლენდი);

სლოვენია: გორან დრაგიჩი (მაიამი);

ფინეთი: ლაური მარკანენი (ჩიკაგო);

საქართველო: ზაზა ფაჩულია (გოლდენ სტეიტი);

საბერძნეთი: გეორგიოს პაპაიანისი (საკრამენტო);

ისრაელი: ომრი კასპი (გოლდენ სტეიტი);

იტალია: მარკო ბელინელი (შარლოტი);

ჩერნოგორია: ნიკოლა ვუჩევიჩი (ორლანდო);

ჩეხეთი: ტომაშ სატორანსკი (ვაშინგტონი);

რუსეთი: ტიმოფეი მოზგოვი (ბრუკლინი).

მბაპე ოფიციალურად პსჟ-ს ფეხბურთელია

კილიან მბაპე 30 აგვისტოს პსჟ-სთან კონტრაქტს მოაწერს ხელს და ოფიციალურად ამ გუნდის ფეხბურთელი გახდება. ამჟამად მბაპე პარიზში იმყოფება და მან სამედიცინო შემოწმება უკვე გაიარა.

პსჟ ამ ტრანსფერში 180 მილიონ ევროს გადაიხდის და მბაპე მეორე ყველაზე ძვირადღირებული ფეხბურთელი იქნება ნეიმარის შემდეგ, რომელიც ასევე პსჟ-ს ღირსებას იცავს.

ამრიგად, პარიზულ გუნდს მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი შეტევა ეყოლება ნეიმარის, კავანისა და მბაპეს სახით. საინტერესოა, როგორ მოახერხებს უნაი ემერი ამდენი ვარსკვლავისთვის ადგილის მოძებნას მოედანზე.

შოტლანდიელი მედდა საკუთარ ძაღლს ყურადღების მისაპყრობად აწვალებდა

შოტლანდიის ქალაქ გლაზგოში მცხოვრებმა ვეტერინარმა მედდამ რამდენჯერმე მოწამლა საკუთარი ძაღლი იმისთვის, რათა ყურადღება მიეპყრო.

28 წლის მედდა ჯორჯინა ბრეტმანი დროდადრო თავის კოკერ-სპანიელს ინსულინის ინექციას უკეთებდა. ძაღლს კრუნჩხვები ეწყებოდა და მას ის იმ ვეტერინარულ საავადმყოფოში მიჰყავდა სამკურნალოდ, სადაც თავად მუშაობდა.

ექიმებმა შენიშნეს, რომ ძაღლი საავადმყოფოში უცნაური სიმპტომებით ხვდებოდა. ყოველ ჯერზე სპანიელს სისხლში გლუკოზის სახიფათოდ დაბალი დონე აღენიშნებოდა. სხვა მხრივ კი ის სრულიად ჯანმრთელი იყო. ვეტერინარებმა იეჭვეს, რომ შესაძლოა ძაღლს ინსულინის ნემსს უკეთებდნენ.

ბრეტმანი სამსახურიდან გაათავისუფლეს და შინაური ცხოველისთვის ტანჯვის მიყენებაში დაადანაშაულეს. მედდის საქმეს სექტემბერში სასამართლო განიხილავს და განაჩენსაც გამოუტანს. ქალს 20 ათასი ფუნტი სტერლინგის ჯარიმა ან ერთი წლით პატიმრობა ემუქრება. რაც შეეხება ძაღლს, მას ახალ პატრონს მოუძებნიან.

ტეხასელმა დატბორილ სახლში თევზი შიშველი ხელებით დაიჭირა

ამერიკის ტეხასის შტატის ქალაქ ჰიუსტონის მცხოვრებმა საულ სალდანამ საკუთარ სახლში, რომელიც ქარიშხალ „ჰარვის“ შედეგად დაიტბორა, შიშველი ხელებით დაიჭირა თევზი. მისმა ქალიშვილმა ვივიანამ მამის ხელით თევზაობა ვიდეოზე გადაიღო და ვიდეორგოლი ინტერნეტში განათავსა.

– რა საჭიროა სადმე საკვების საყიდლად წასვლა, როდესაც ის თავად მოცურდა ჩვენ სასტუმრო ოთახში, – დაწერა გოგონამ ფეისბუქში. მისი პოსტი სოციალურ ქსელში 475-მა ინტერნეტ-მომხმარებელმა გააზიარა.

ქარიშხალი „ჰარვი“ ტეხასის შტატს რამდენიმე დღის წინ დაატყდა თავს. თავდაპირველად მას მეოთხე კატეგორია მიანიჭეს, შემდეგ ტროპიკული ქარიშხლის დონემდე დაწიეს. ქარიშხლის შედეგად მინიმუმ ხუთი ადამიანი დაიღუპა, ხოლო ათზე მეტი დაშავდა. **მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

ბარსელონის მცველი მარლონი კარიერას ნიცაში გააგრძელებს

ბარსელონის ახალგაზრდა მცველი მარლონი 2 წლის განმავლობაი იჯარის წესით ფრანგული ნიცის შემადგენლობაში ითამაშებს. მარლონი სულ მალე შეუერთდება თავის ახალ გუნდს და მომავალი ორი სეზონის განმავლობაში ის ნიცის ფეხბურთელი იქნება.

მარლონი პერსპექტიულ ფეხბურთელად ითვლება, მაგრამ ბარსელონის ძირითად შემადგენლობაში მას ადგილის დამკვიდრება გაუჭირდებოდა, ამიტომ კატალონიელებმა მისი იჯარით გასხვისება გადაწყვიტეს.

მარლონმა განაცხადა, რომ მისთვის ნიცაში თამაში მომავლისთვის კარგი გამოცდილება იქნება.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ჰიუ ჰეფნერის შვილი სამომავლო გეგმებზე ალაპარაკდა

ჟურნალ პლეიბოის დამაარსებლის ჰიუ ჰეფნერის შვილმა გამოცემასთან დაკავშირებულ გეგმებზე ისაუბრა.

25 წლის კუპერ ჰეფნერი ლაყბოყ ნტერპრისე-ს მთავარი კრეატიული დირექტორია. მისი თქმით, მას სურს, რომ ჟურნალი თავისი თაობისთვის გადააკეთოს.

– შეიქმნას რაიმე, რომელიც შესაფერისი იქნება ჩემი თაობისა და იმ თაობისთვის, რომელიც ჩვენს შემდეგ მოვა, აი ასე განვსაზღვრავ საკუთარ მიღწევებს, – განაცხადა ჰეფნერ-უმცროსმა.

მან ასევე ისაუბრა მამის ჯანმრთელობაზე და აღნიშნა, რომ ძნელია ჰეფნერი-უფროსის მდგომარეობას უყურო, თუმცა ეს ფიზიკური პრობლემებია და არა ფსიქიკური.

აუქციონზე პრინცესა დიანას საყვარელი ხელჩანთის ახალი ვერსია გაიყიდება

აუქციონზე გასაყიდადაა გამოტანილი ბრიტანეთის პრინცესას საყვარელი ხელჩანთის ახალი ვერსია. სავარაუდოდ, აღნიშნული ლოტი საქველმოქმედო აუქციონზე 15 ათასიდან 30 ათას ფუნტ სტერლინგამდე გაიყიდება.

1995 წელს დიანამ პირადად სთხოვა თავის მეგობარ, სამხრეთაფრიკელ დიზაინერ ლანა მარკს მისთვის ექსკლუზიური ხელჩანთა შეექმნა. პრინცესას იმდენად მოეწონა ნახელავი, რომ მას „ყველაზე შესანიშნავი ჩანთა“ უწოდა, რომლის წარმოდგენაც კი შესაძლებელია და საერთო ჯამში აქსესუარის 15 სხვადასხვა ვარიანტი შეიძინა.

ამჯერად კი მარკსმა ამ ხელჩანთის კიდევ ერთი ვერსია შექმნა. ის დამშვენებულია თეთრი ბრილიანტებით, ასევე გამოყენებულია 18-კარატიანი ყვითელი ოქრო და ნიანგის ტყავი.

ცნობილი დიზაინერის კლიენტებს შორის არიან მსახიობები კეიტ უინსლეტი, ანჯელინა ჯოლი, შარლიზ ტერონი, ჯენიფერ ენისტონი.

საქველმოქმედო აუქციონი ბევერლი-ჰილზში 26 სექტემბერს გაიმართება.

სოციალურ ქსელებში ივანკა ტრამპს დასცინეს

სოციალურ ქსელებში აშშ-ის პრეზიდენტის ქალიშვილ ივანკა ტრამპს დასცინეს, ფანებისგან მიღებული წერილების გამო.

– სიხარულით ვარ აღსავსე ამ მშვენიერი წერილების გამო. მათი კითხვა ამ კვირაში, ჩემი ერთ-ერთი უდიდესი სიამოვნებაა, – განაცხადა ივანკა ტრამპმა ტვიტერში.

სავარაუდოდ, ივანკა მადლიერებას გამოხატავს გზავნილების გამო, თუმცა გაუგებარია, რისთვის.

კრიტიკოსებმა ივანკას სიხარული ვერ შეაფასეს. ნაწილმა ივარაუდა, რომ წერილების ავტორი ამერიკის პრეზიდენტი დონალდ ტრამპია. სხვები დაინტერესდნენ, მიიღო თუ არა სახელმწიფოს მეთაურის შვილმა გზავნილები, რომლებშიც მის მიმართ კრიტიკული შენიშვნები იყო გაკეთებული. მესამენი კი დაინტერესდნენ, თუ რისთვის უხდიან მადლობას ტრამპს წერილების ავტორები.

სოკოს სიყვარულმა ამერიკელს ხუთი მილიონი მოაგებინა

ამერიკის ნიუ-იორკის შტატის სოფელ სარანაკ-ლეიკის მცხოვრები მიიჩნევს, რომ ლატარიაში ხუთი მილიონი დოლარი სოკოს წყალობით მოიგო.

56 წლის ჯონ ლუისს უნდოდა, რომ სპაგეტისთვის სოუსი თავისი მამის რეცეპტის მიხედვით გაეკეთებინა. მას ამისთვის ერთი ინგრედიენტი – სოკო აკლდა. ლუისმა მაღაზიაში შეიარა და ხურდა ფულით, რომელიც მას ეკუთვნოდა, ლატარიის ბილეთი შეიძინა.

ბილეთი მომგებიანი აღმოჩნდა. ლუისმა გადაწყვიტა, რომ მოგებული თანხა ერთიანად არ მიიღოს. ამის მაგივრად, ის თანდათანობით, წელიწადში დაახლოებით 172 ათას დოლარს მიიღებს.

მამაკაცი მოგებული თანხის ნაწილს ნათესავის მკურნალობას მოახმარს, თუმცა ჯერ არ მოუფიქრებია, თუ როგორ მოიხმარს დანარჩენ თანხას.

– სადმე მუშაობის დაწყებას ვაპირებდი, სანამ არ მოვკვდები, – განაცხადა ლუისმა, – ფული კიდევ რამდენიმე კარს გამიღებს, მაგრამ ჩვენ ცხოვრებით ისედაც კმაყოფილები ვართ. ეს კარგი ცხოვრებაა.

გერმანიის ექსკანცლერის პორტსიგარი აუქციონზე გაიყიდება

გერმანიის ყოფილი კანცლერის ჰელმუტ შმიდტის პორტსიგარი აუქციონზე გასაყიდადაა გატანილი. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი გერმანული გამოცემა ავრცელებს.

აუქციონი ქვემო საქსონიაში გაიმართება. ლოტის საწყისი ფასი 26,5 ათასი ევროა.

შმიდტი თავგადაკლული მწეველი იყო. ერთ-ერთი პორტსიგარი დამშვენებული არწივის გამოსახულებით, მან გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ყოფილი პრეზიდენტის ვალტერ შელისგან 1978 წელს საჩუქრად მიიღო.

პორტსიგარის შიდა მხარეს გაკეთებულია წარწერა სიტყვებით გერმანიის სახელმწიფო ჰიმნიდან „ერთიანობა, სამართალი, თავისუფლება“.

ყოფილი კანცლერი ჰელმუტ შმიდტი 2015 წელს გარდაიცვალა.

მოამზადა

კახა ხატიაშვილმა

ავსტრალიელმა ფეხბურთელებმა პატარა გულშემატკივარი დაამწუხრეს

ავსტრალიელმა ფეხბურთელებმა ყურადღების გარეშე დატოვეს პატარა გულშემატკივარი, რომელიც მათ მატჩის დაწყების წინ ხელის ჩამორთმევას სთხოვდა.

ბიჭუნა მელბურნში ავსტრალიური ფეხბურთის ლიგის მატჩზე დასასწრებად იყო მისული. როდესაც მისი საყვარელი გუნდის მოთამაშეები მატჩის წინა მოთელვის შემდეგ გასახდელისკენ გაემართნენ, ბავშვი კედელთან მივიდა და მათ ხელი გაუწოდა ჩამოსართმევად. სპორტსმენებმა მას ყურადღება არ მიაქციეს და ერთიმეორის მიყოლებით ჩაუარეს გვერდით. ამის შემდეგ დამწუხრებული ბავშვი დაბრუნდა თავის ადგილზე.

ავსტრალიურ ფეხბურთს ოვალურ მოედანზე თამაშობენ, რომლის სიგრძე 185, ხოლო სიგანე 155 მეტრია. ყოველ გუნდს რამდენიმე კარი აქვს და ყველაზე ვიწრო კარში გატანილ გოლს უფრო მეტი ქულები მოაქვს. ფეხბურთს თამაშობენ როგორც ფეხით, ისე ხელითაც.

ასტროპროგნოზი

30 აგვისტოსთვის

ვერძი – ფინანსური ოპერაციებისას სიფრთხილე და თავშეკავება გამოიჩინეთ. ზოგიერთი ნაცნობის მიმართ ქცევის შეცვლა მოგიწევთ. ერიდეთ კონფლიქტურ სიტუაციებს და უფრო რბილი და მოქნილი იყავით. **კურო** – ხელშეკრულებების გასაფორმებლად, მივლინებებისათვის შესაფერისი პერიოდია. მიმართეთ ძველ მეთოდებს. ექსპერიმენტები რეკომენდებული არ არის. **ტყუპები** – დღის პირველი ნახევარი წარმატებული იქნება, თუ იმ საქმეს გააკეთებთ, რომელშიც კარგად ერკვევით. თავს ზედმეტად ნუ გადაიტვირთავთ. **კირჩხიბი** – ახლობლებს თქვენი დახმარება სჭირდებათ. დაეხმარეთ, მაგრამ ისე, რომ თქვენი პირადი ინტერესები არ დაზარალდეს. **ლომი** – კეთილისმყოფელი დღეა საქმიანი კონტაქტებისათვის, შემოქმედი ადამიანებისათვის. საღამო მეგობრების წრეში გაატარეთ. **ქალწული** – თუ გაწყენინეს, შურისძიებაზე არც იფიქროთ. კეთილშობილება და მიმტევებლობა საქმეს უფრო წაადგება. პროფესიულ საქმიანობაში ცვლილებებია მოსალოდნელი. **სასწორი** – ზედმეტი თავდაჯერებულობაც და გაუბედაობაც დაგაზარალებთ. ზომიერება დაიცავით. **ღრიანკალი** – კრიტიკული დღეა. განერვიულებული და გაღიზიანებული ხართ. ერიდეთ ადამიანებს, რომლებიც თქვენზე უარყოფით გავლენას ახდენენ. **მშვილდოსანი** – პლანეტა ვენერა რომანტიკულ ურთიერთობებში გეხმარებათ. განსაკუთრებით იღბლიანი დღეა ქალებისათვის. **თხის რქა** – იღბალი თქვენ მხარესაა. რასაც ხელს მოჰკიდებთ, იდეალურად გამოგივათ. ახალი იდეების განხორციელება წარმატებას მოგიტანთ. **მერწყული** – სიყვარულში ბედი გწყალობთ. დაივიწყეთ ყოველგვარი უსიამოვნება და დატკბით თითოეული წამით. **თევზები** – ფინანსური ოპერაციები წარმატებით ჩაივლის. კომპრომისზე წასვლა დღეს აუცილებელია. შესაძლოა, შემოსავლის ახალი წყაროც გაგიჩნდეთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვორდი ბ



შვეულად: 1. ჰოლივუდის კინოვარსკვლავი კინორეჟისორი მამაკაცი; 2. მდგომარეობა ჭიდაობაში; 3. საფოსტო მარკების შეგროვება; 4. ქართული მითოლოგიის გმირი; 5. ექიმის სპეციალობა; 10. კათოლიკეთა რელიგიური საგალობელი; 13. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ნავსადგური გერმანიაში; 12. ქართული ფარმაცევტული ფირმა; 13. ქართველი მოდელიერი ქალი; 16. მეცნიერება რეაქტიული საარტილერიო ჭურვების მოძრაობის შესახებ; 17. აკაკი წერეთლის მშობლიური სოფელი; 19. უბანი თბილისში; 21. მეტალურგიაში ნივთიერება, რომელსაც უმატებენ მადანს დნობის დასაჩქარებლად; 23. ძვირფასი აბრეშუმის ქსოვილი.

თარაზულად: 6. უცხოელებისა და ყოველივე უცხოურის სიძულვილი; 7. ტბა გულრიფშის რაიონში; 8. ქათმისებრთა ოჯახის გარეული ფრინველი; 9. ფრანგი მწერლის ანრი ბეილის ლიტერატურული ფსევდონიმი; 14. ინგლისის ფეხბურთელთა გუნდი; 15. სარაგბო, საფეხბურთო სტადიონი კარდიფში; 18. დაუსაბუთებლად, ბრმად მიღებული დებულება; 20. მიწაში ბინადარი მღრღნელი; 22. თირკმლების ანთება; 24. აეროპორტი კაიროში; 25. ლიტვის დედაქალაქი; 26. მწყრის მართვე.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ლაკმუსი; 2. ბადაგი; 3. ჩუღურეთი; 4. ნიკოტინი; 7. ტიტესტერი; 8. მაშარაბი; 12. ბელფასტი; 14. „საფერავი“; 16. ენერგია; 17. „ავატარი“; 19. ყავა; 20. „შინი“.

თარაზულად: 5. მაჭახელა; 6. ბრუქსიზმი; 9. ზუროსი; 10. გიშერი; 11. აშარი; 13. ქერჩი; 15. „ჯამილე“; 18. შნეკი; 21. კანდელაკი; 22. გარინჩა; 23. მანტისა.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ურთხელი; 2. ეპისტოლე; 3. აგრონომია; 4. ანორაკი; 5. სანგვინიკი; 10. კრეიგი; 11. მაჰარაჯა; 12. გეიმერი; 13. ჯიბგირი; 16. ტაბაწყური; 17. „ბენეტონი“; 19. არტანუჯი; 21. „ტესლა“; 23. „თეთრა“.

თარაზულად: 6. არქიპელაგი; 7. ინიესტა; 8. სენატი; 9. ანდამატი; 14. დიამბეგი; 15. სპილბერგი; 18. ჰიჯრა; 20. „ვედრება“; 22. თითბერი; 24. მელასა; 25. ჩურჩხელა; 26. ტირანა.

სამართალი

სარფში არადეკლარირებული ოქროსა და ვერცხლის ნაკეთობები აღმოაჩინეს

ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მებაჟე ოფიცრებმა სარფში საქართველოში შემომავალი საქართველოს მოქალაქის, ნ.შ-ს კუთვნილი ბარგის დათვალიერებისას, არადეკლარირებული ოქროს (საერთო წონა 160.96 გრამი) და ვერცხლის (საერთო წონა 2,173.21 გრამი) საიუველირო ნაკეთობები აღმოაჩინეს.

ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურიდან აცნობეს.

მათივე ინფორმაციით, ოქროს ნაკეთობების საერთო საბაჟო ღირებულებამ 8816,07 ლარი, ხოლო ვერცხლის ნაკეთობების საერთო საბაჟო ღირებულებამ 2649,47 ლარი შეადგინა.

შემოსავლების სამსახურის ინფორმაციით, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 289-ე მუხლის მე-10 ნაწილის შესაბამისად, მოქალაქეს სანქციის სახით ფულადი ჯარიმა 11465,54 ლარის ოდენობით შეეფარდა.

სილნაღში ძაღლების თავშესაფრის მეპატრონე ცემეს

სილნაღში ძაღლების თავშესაფრის მეპატრონე მატილდა მირზოევა ცემეს. ამის შესახებ ინფორმაციას სოციალურ ქსელში ლაშა გეგეჭკორი ავრცელებს.

გავრცელებული ინფორმაციით, ნასვამ მდგომარეობაში მყოფმა ახალგაზრდა მამაკაცმა მირზოევა ძაღლის გამო ცემა. სხვა დამატებითი დეტალები მომხდარის შესახებ არ ვრცელდება.

– სილნაღში ნაცემია მატილდა, ძაღლების თავშესაფრის მეპატრონე. როგორც რიგითი მოქალაქე, სასწრაფოდ ვითხოვ რეაგირებას შესაბამისი სამსახურებისგან! – წერს ლაშა გეგეჭკორი.

როგორც „ნიუპოსტს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლით აღიძრა, რაც ძალადობას გულისხმობს.

ავარია სოფელ ფერმასთან — დაშავებულია სამი პირი

ავტომაგისტრალზე, სოფელ ფერმასთან, მსუბუქი ავტომობილი სავალი გზიდან გადავიდა და ხეს შეეჯახა. დაშავდა სამი ადამიანი, რომლებიც საავადმყოფოში არიან გადაყვანილი.

როგორც „ნიუპოსტს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, მომხდარზე გამოძიება 276-ე მუხლით დაიწყო, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს.

ქორი ქარიშხალს მანქანაში დაემალა

ამერიკის ტეხასის შტატის ქალაქ ჰიუსტონში ქარიშხალ „ჰარვისგან“ შეშინებულმა ქორმა თავი ტაქსს შეაფარა.

ტაქსის მძღოლი უილიამ ბრიუზო მანქანიდან გადავიდა და მაღაზიაში შევიდა, რათა სტიქიური უბედურების დაწყებამდე საკვები მოემარაგებინა. როდესაც უკან დაბრუნდა, მანქანაში ქორი იჯდა და მის დატოვებას არ აპირებდა.

ბრიუზომ გადაწყვიტა, ქორი სახლში წაეყვანა. იქ მას წყალი დაალევინა და უმი ქათმის გულებით გაუმასპინძლდა. მეორე დღეს მტაცებელი ფრინველი ცხოველთა გადარჩენის ცენტრის თანამშრომლებმა წაიყვანეს.

ტაქსის მძღოლმა იუთუბიზე რამდენიმე ვიდეო გამოაქვეყნა, რომელზეც მასთან სტუმრად მყოფი ქორია ასახული. ერთ-ერთმა ვიდეორგოლმა ორ დღეში 280 ათასი ნახვა მიიღო.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სამგლოვიარო განცხადებები

ონის რაიონის სოფელ მრავალძალის მკვიდრნი სხირტლაძეები და იობაშვილები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ძვირფასი მამულიშვილი

შოთა სხირტლაძე

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

„ჩემი ცოლის დაქალები“ ბრუნდება

ფორმულა კრეატივის გახმაურებული სერიალი „ჩემი ცოლის დაქალები“ ბრუნდება.

ახალი მე-12 სეზონი სექტემბერში დაიწყება. ინფორმაციას სერიალის ოფიციალური გვერდი ავრცელებს:

– გადაღებებს ვიწყებთ და ძალიან, ძალიან მალე იხილავთ მე-12 სეზონს! „როდის დაიწყებაა?“ სექტემბერში, უფრო ზუსტ თარიღის მალე გეტყვით, მანამდე კი მნიშვნელოვანი განცხადება გვაქვს თქვენთვის:

თუ გსურთ ჩვენი სერიალის ეპიზოდურ როლებში და მასშტაბურ სცენებში მონაწილეობა, შემოგვიერთდით სპეციალურ ჯგუფში და აუცილებლად გაეცანით შესაბამის პირობებს.

თუ გსურთ, თქვენმა ავტომობილმა მიიღოს მონაწილეობა ჩვენს სერიალში, მაშინ შემოგვიერთდით სპეციალურ ჯგუფში და აუცილებლად გაეცანით შესაბამის პირობებს.

ხოლო თუ გსურთ, თქვენმა სახლმა მიიღოს მონაწილეობა ჩვენს სერიალში, შემოგვიერთდით სპეციალურ ჯგუფში და, რასაკვირველია, არ დაგავიწყდეთ, გაეცნოთ შესაბამის პირობებს.

ნობელის პრემიის ლაურეატი, მწერალი სვეტლანა ალექსევიჩი თბილისში ჩამოდის

ნობელის პრემიის ლაურეატი, მწერალი სვეტლანა ალექსევიჩი თბილისში ჩამოდის. ნობელის მფლობელ მწერალს ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული პრემია ლიტერატურის დარგში ორი წლის წინ გადაეცა. სვეტლანა ალექსევიჩი მწერალი, ისტორიკოსი და ჟურნალისტია.

მწერალი საქართველოს დედაქალაქს 11 სექტემბერს ესტუმრება და თბილისში ორი დღე დარჩება. ნობელის ლაურეატი ბელარუსი მწერალი საქართველოში ორი ქართული გამომცემლობის მოწვევით ჩამოვა და ქართველ მკითხველს რუსთაველის თეატრის სცენაზე შეხვდება. მწერალი მისი შემოქმედების მოყვარულებს წიგნებზე ავტოგრაფებსაც დაურიგებს.

სვეტლანა ალექსევიჩი თავის წიგნებში საბჭოთა და მოგვიანებით ბელარუსის პოლიტიკურ რეჟიმებს აკრიტიკებს.

ოზურგეთის ისტორიულ მუზეუმში ახალი ფონდსაცავი მოეწყო

ოზურგეთის ისტორიულ მუზეუმში დამთავრდა ახალი ფონდსაცავი ოთახის სარემონტო სამუშაოები, რომელიც გაცილებით უფრო დიდი და კომფორტულია, ვიდრე ძველი იყო.

ამ ეტაპზე მიმდინარეობს ინვენტარიზაცია და ექსპონატების ფონდის ოთახში გადატანა.

ძლიერმა ნალექმა ფონდის ძველ ოთახში ჩააღწია და, სამწუხაროდ, ზოგი ექსპონატი დაასველა. მუზეუმის თანამშრომელთა თავდაუზოგავი შრომითა და დიდი ძალისხმევით დასველებული ექსპონატები დაზიანებას გადაურჩა. მუზეუმის თანამშრომლები მტვრისა და ნესტისაგან ასუფთავებენ ექსპონატებს და ახალ ფონდსაცავ ოთახში ათავსებენ. ეს ის უნიკალური ნივთებია, რომლებმაც საუკუნეები გამოიარა და საკუთარი ისტორია დღემდე მოგვიტანა. ამიტომაც მუზეუმის თანამშრომლები რუდუნებითა და სათუთად უვლიან ყოველ ნივთს, რომელიც ფასდაუდებელია თავისი ღირებულებით.

მტვრისა და სიჩუმის მიღმა საქართველოს წასული, საქართველოს ისტორიაა. მართალია, ამ ეტაპზე მუზეუმში დაცული ექსპონატები საიმედოდაა შენახული, მაგრამ მუზეუმის თანამშრომლები იმედს გამოთქვამენ, რომ ისინი მალე დაუბრუნდებიან გარემონტებულ საგამოფენო დარბაზებს, სადაც ფართო საზოგადოებას შეეძლება მათი ხილვა, მუზეუმი კი მის უპირველეს ფუნქციას დაიბრუნებს.

თათა ჯაში გათხოვდა

საბალეტო დასის ბალერინა და პროექტის „შენ შეგიძლია ცეკვა“ მონაწილე თათა ჯაში გათხოვდა. მისი რჩეული ტელეკომპანია „იმედის“ დიზაინერი გიორგი ბარნაბიშვილია. საქორწილო ვიდეო ბალერინამ სოციალურ ქსელში თავად გაავრცელა.

თათას ხელი და გული საყვარელმა მამაკაცმა ქოლდფლეის კონცერტზე, მსმენელით სავსე სტადიონზე სთხოვა და მისგან დადებითი პასუხი მიიღო. ნიშნობის ბეჭდის დანახვაზე კი ბალერინამ სიხარულისგან იტირა.

თათას და გიორგის გაბედნიერება უამრავმა ადამიანმა მიულოცა. მათ საქორწილო ვიდეოს უამრავი ნახვა აქვს.

ფოთის თეატრი პოლონეთში მიემგზავრება

ფოთის ვალერიან გუნიას სახელობის თეატრი გასტროლზე პოლონეთში მიემგზავრება.

პირველ სექტემბერს თეატრის დასი პოლონეთის ქალაქ შჩეცინში წავა, სადაც საერთაშორისო ფესტივალის ფარგლებში ითამაშებს სპექტაკლს დანიელა ჯანჯიჩის „ყვითელი დღეები“.

ფოთის თეატრის მსახიობებმა სპექტაკლი ფესტივალის წინ, მოთელვის მიზნით, ფოთელი მაყურებლისთვისაც ითამაშეს.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

პროგრამა

ოთხშაბათი
30 აგვისტო

06.00 მუსიკა პირველზე **06.30** დოკ/ფ "ბრძოლა ვეშაპების გადასარჩენად" **07.30** "ნამდვილი დრო" **08.00** ანიმაცია. "ჯიმი ნიუტრონი" გენიოსი ბიჭუნა" **09.00** ტ/სერ. "**გამარჯვებული ვიქტორია**" **10.00, 02.20** "პირადი ექიმი" **11.00** ტ/სერ. "**ჩინტო ვეტრინე**" **12.00, 16.00, 18.00, 20.00** "მოამბე" **12.30** "საუკუნის პორტრეტები" **13.00, 03.20** დღის მხ/ფ "**ცისფერი ანგელოზი**" (მ.დიტრიხი) **15.00, 05.00** დოკ/ფ "ადამიანის ბუნება" **16.15** დოკ/ფ "ბრძოლა ვეშაპების გადასარჩენად" **17.00** ტ/სერ. "**ოფისი**" **18.30** "ტელებლოგი" **19.00** ტ/სერ. "**ძველი ხიდის საიდუმლო**" **20.40** "სპორტის დაფა" **21.00** ტ/სერ. "**ცბიერი მოახლეები**" **22.00** ტ/სერ. "**მთავრობა**" **23.00** მხ/ფ "**ბედნიერი გილმორი**" (ა.სენდლერი) **00.30** მხ/ფ "**უკანასკნელ გზაზე**" (ფ.კლუზე)

ტექნიკური მიზეზების გამო არხის პროგრამას ვერ ქთავაზობთ.

07.00, 14.40 სერ. "**ელიფი**" **08.00** სერ. "**ოჯახური პორტრეტი**" **09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 04.20** ქრონიკა **09.20** სერ. "**პატარძალი**" **11.20** სერ. "**ფიცი**" **12.30** სერ. "**ღირსების სახელით**" **16.00** სერ. "**ოჯახური პორტრეტი**" **17.35** სერ. "**ხაფანგი**" **18.45, 19.03** სერ. "**მოპარული ცხოვრება**" **21.00** სერ. "**ძმა**" **22.30** სერ. "**ელ პრინსიპე**" **00.00** მხ/ფ "**შუამავალი**" **02.20** მხ/ფ "**მკვლელების საბეფო**" **04.35** მხ/ფ "**კარგი ტყუილი**"

06.00, 18.45 სერ. "**კაცი**" **07.00, 19.45, 20.03** სერ. "**დესპოტი ქმარი**" **08.00** სერ. "**ინდიანა ჯონსის მეგაკვირდეები**" **09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **09.10** სერ. "**დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა**" **10.15** სერ. "**მფარველი ანგელოზი**" **12.30** სერ. "**ვარსკვლავის დაბადება**" **13.55** სერ. "**ფერიას საიდუმლო**" **15.30** სერ. "**წარსულის ჩრდილი**" **16.55** სერ. "**დაკარგული წლები**" **22.00** მხ/ფ "**3 + 3**" **23.00, 23.30, 01.00** მხ/ფ **01.30** კურიერის დაიჯესტი **02.00** მხ/ფ

08.00 ან/ფ "ავატარი **3**" **09.00** სერ. "**მონკი-7**" **13.00** სერ. "**ძვლები 4**" **17.00** სერ. "**სიმართლის ანატომია 2**" **19.00** სერ. "**ლურჯის ელფერი**" **21.00** სერ. "**კრიმინალური რომანი 2**" **22.30** მხ/ფ "**არაჩვეულებრივი ბარტ ვანდერსტუნი**" **00.30** მხ/ფ "**პომპეი**" **02.30** მხ/ფ "**პროექტი ჩ**" **04.00** მხ/ფ "**ანგელოზების ქალაქი**" **06.00** მხ/ფ "**ტენენბაუმების ოჯახი**"

08.00 ანანდა **08.10** მულტფილმი **08.20** სერ. "**მომრგები**" **შეგუნი 09.20** მულტ/სერ. "ლეკვი ჩემს ჯიბეში" **09.50** სერ. "**სიყვარულსა და შიშს შორის**" **10.40, 13.40, 14.40, 17.40, 21.25, 22.30** ტელემარკეტი **11.00, 14.00, 17.00, 17.55, 19.00, 23.30, 02.20** ახალი ამბები **11.20** სერ. "**ყველაფერი ცხოველების შესახებ**" **11.50** მოდი გავიყაროთ **12.40** ბენეფისი **14.30** მე რომ ვიყო **15.00** სერ. "**ბანდოლერა 18.00** ღია სტუდია **19.55** მე რომ ვიყო **20.00** სერ. "**ფრილის ომი**" **21.30** ინტერვიუ ვანჩკასთან **22.35** სერ. "**სიყვარულსა და შიშს შორის** " **0.00** მხ/ფ "**წარსულის საიდუმლოებები**" **1.30** მოდი გავიყაროთ **03.00** ღია სტუდია **04.00** სერ. "**რაუ**"

06.15 დროის ჩანაწერები **07.00** მართლმადიდებლური კატეხიზმო **07.30** ჩვ. ფონდი "თინათინ ბოლქვაძე-ენობრივი კონტაქტები" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** დ/ფ "ველური ბუნებაკუები" **09.05** "განთიადი (კოლაჟი) **10.10** მხ/ფ "**ნიურმბერგის პროცესი**" II სერ. **11.10** მიწათმოქმედი "სოფელი დიდი ლილო" **11.25** მგზავრები წუთისოფლისა **12.10** ღია აუდიტორია "მერაბ გეგია" **12.50** ერთიანი მშვიდობიანი კავკასია "გეშტართერაპია" **13.30** ან/ფ "მეფე ლომი " **15.05** ქართ. ან/ფ **1.**გოგო და ბატი **2.** ხელმარჯვე ოსტატი წყალქვეშ **15.25** დ/ფ "ველური ბუნება -- კინგო ეკვატორული აფრიკა" **16.25** აქტუალური თემა "ასტროლოგია" **16.45** "ერთსულოვანი ოჯახი"- ღვაბერიძეები **17.25** ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები **18.10** მოგზაურობა სამშობლოში **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **18.55** საეკლესიო კალენდარი **19.00** თვენი "წმინდა აშოტ კურაპალატი" **19.15** მხ/ფ "**წარსული ზაფხული**" **20.40** ძილი ნებისა "ჯადოსნური კვერცხი" **21.00** პატრიარქის ქადაგება **21.20** ჩვენი ფონდი "ზ.ცოტნიაშვილი-ეპოქის შემქმნელი ცხინვალის რეგიონში" **21.30** ეპოქის სახელები "პერტრე მელიქიშვილი" **22.00** დ/ფ "ზუბალაშვილები" **22.30** ქართული ალბომი "ანტონ ფურცელაძის შთამომავლები" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დ/ფ "წინანდლის სასახლე ქართული ევროპა" **23.45** ღვთის სახლი "ოთხთა და ოშკი" **00.00** საეკლესიო კალენდარი **00.10** ეპოქა და ადამიანი "ამბროსი ხელაია" **00.45** მხ/ფ "**ჩვენი ეზო**"

08.00 - 03.00 ახალი ამბები (გამეორება ყოველ ერთ საათში) **07.15 - 02.15** სპორტი (გამეორება ყოველ ერთ საათში) **07.30- 02.30** ახალი ამბები მსოფლიო (გამეორება ყოველ ერთ საათში) **07.00, 10.00, 13.00, 19.00, 23.00, 01.00** ბიზნესი **21.00** მთავარი გამოშვება

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

30 აგვისტოსთვის

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.4158

ევრო — 2.8548

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.1004

100 რუსული რუბლი — 4.0848

ამინდის პროგნოზი 30 აგვისტოსთვის

31 აგვისტოდან

ალექსანდრე იასაღაშვილი

შავი ვარდი

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

30 აგვისტოდან



საოჯახო სამზარეულო

1 ტომი — ხორცეული, თევზეული, სალათები

ფასი გაზეთთან ერთად 2 ლარი და 50 თეთრი

ბასილაშვილმა ამერიკის ღია პირველობაზე მარცხი განიცადა

ნიკოლოზ ბასილაშვილმა ამერიკის ღია პირველობის პირველ რაუნდში მარცხი განიცადა და ტურნირს გამოეთიშა. ბასილაშვილის მეტოქე 20 წლის ამერიკელი ჯარედ დონალდსონი იყო, რომელიც ნიჭიერ ჩოგბურთელად ითვლება. მატჩი თითქმის სამი საათი გაგრძელდა და დონალდსონმა 4 სეტში მოიგო ანგარიშით 6:0, 4:6, 6:3, 7:6. მეოთხე სეტში ქართველი ჩოგბურთელი 3:1-ს იგებდა, მაგრამ უპირატესობის შენარჩუნება ვერ შეძლო და საბოლოოდ საქმე ტაიბრეიკამდე მივიდა, სადაც დონალდსონმა იმარჯვა.

ამ წაგების შემდეგ ბასილაშვილი მსოფლიოს რეიტინგში, სავარაუდოდ, უკან დაიწევს.

ალექსის სანჩესი, შესაძლოა, მანჩესტერ სიტიში გადავიდეს

არსენალის ჩილელმა ფორვარდმა ალექსის სანჩესმა თავის გუნდს ტრანსფერზე დაყენება მოსთხოვა. სანჩესი პსჟ-ში აპირებდა გადასვლას, მაგრამ პარიზელებმა აქცენტი სხვა ფეხბურთელებზე გააკეთეს და სანჩესი მათთვის საჭირო აღარ იყო.

ალექსისის შეძენა მანჩესტერ სიტისაც სურს, მაგრამ სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე უკვე ძალიან ცოტა დროა დარჩენილი. ლივერპულთან გამანადგურებელი მარცხის შემდეგ სანჩესის ემოციები ყველამ დაინახა და ცხადი გახდა, რომ მას გუნდის დატოვება სურს. არსენალში გადასვლამდე სანჩესი რამდენიმე სეზონის განმავლობაში ბარსელონის ღირსებას იცავდა, მანამდე კი ის იტალიური უდინეზეს ფეხბურთელი იყო.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

იუმორი

ცოლი ქმარს ეუბნება:

– ძვირფასო, ტელეფონზე თანხა ამომეწურა და შეიძლება შენი ტელეფონით დავურეკავ ლელას?

– რა პრობლემაა, დაურეკე.

ცოლი რეკავს და ხმადაბლა ამბობს:

– გამარჯობა, საყვარელო.

•••

კაცი მაღაზიაში მივიდა და გამყიდველს საყვედურით ეუბნება:

– ერთი კვირის წინ თქვენთან ბენზოხერხი ვიყიდე. ინსტრუქციაში წერია, რომ დღეში ხუთი კუბომეტრი შეშის დახერხვაა შესაძლებელი, მე კი სამზე მეტს ვერ ვხერხავ.

– მოდით, შევამოწმოთ, – ეუბნება გამყიდველი და ხერხი დაქოქა.

– ვაახ, იქოქება?

•••

მამაკაცი ექიმ-ეროლოგს მიმართავს:

– ექიმო, ცუდად ვშარდავ.

– რას ნიშნავს ცუდად?

– ცუდად.

– ძალიან ბევრს, თუ პირიქით ძალიან ცოტას? ხშირი შარდვა გაწუხებთ თუ ტკივილს განიცდით შარდვის დროს?

– არა, არა, არც ერთი.

– იცით, რა, აი ქილა, დაიჭირეთ და ჩემი თანდასწრებით მოშარდეთ.

შარდი შადრევანივით ასხამს, ექიმი გაიწუწა. ბოლოს ეკითხება:

– დიდი ხანია ასეა?

– უკვე მესამე თვეა.

– აი, აიღეთ რეცეპტი.

– ექიმო, კიდევ კუჭშიც ცუდად გავდივარ.

– არა, არა! თერაპევტთან, თერაპევტთან!!!

•••

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– გუშინ სახლში როგორ მიხვედი?

– მაგარი ნასვამი ვიყავი, თანამეინახეებმა დამარწმუნეს, რომ მანქანაზე არ დავმჯდარიყავი.

– მერე?

– მერე, გადავწყვიტე, სახლში ავტობუსით მივსულიყავი და საოცარია, მაგრამ სახლში ყოველგვარი ინციდენტების გარეშე მივედი.

– რა არის გასაოცარი?

– რა და ავტობუსის საჭესთან პირველად დავჯექი.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სერია „ადამიანები, რომელთაც შეცვალეს მსოფლიო – 100 წიგნი“ გრძელდება

10 აგვისტოდან
ტომი 50
პინოჩეტი



ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

17 აგვისტოდან
ტომი 51
იულიუს კეისარი



ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

24 აგვისტოდან
ტომი 52
ლინკოლნი



ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი



22 აგვისტოდან

ლაშა იმედაშვილი

სამი მკვლელობა ძველ თბილისში

ქართული დეტექტივი

ტომი 13

პატრიარქის ზაფხული

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

ნეიმარი კოუტინიოს ურჩევს, ბარსელონაში არ გადავიდეს

ფილიპე კოუტინიო ამჟამად ბრაზილიაშია, სადაც ის თავისი ნაკრების მატჩებისთვის ემზადება. მასთან ერთად იმყოფება ბარსელონის ყოფილი ფორვარდი ნეიმარიც, რომელმაც კოუტინიოს ურჩია, ბარსელონაში არ გადავიდეს.

მას შემდეგ, რაც ნეიმარმა ბარსელონა დატოვა, მას ცუდი ურთიერთობა აქვს კატალონიური გუნდის ხელმძღვანელობასთან და, როგორც ჩანს, ნეიმარი გაჩერებას არ აპირებს. არავისთვის საიდუმლოს არ წარმოადგენს ის, რომ კოუტინიოს ბარსელონაში თამაში სურს, მაგრამ ლივერპულმა ამ ტრანსფერს ხელი შეუშალა და, როგორც ჩანს, წელს ის არ განხორციელდება.

ჯოსვოიდი ›



შვეულად: 1. მოვლენათა თანამიმდევრული, მონაცვლეობითი განვითარების გზა; 2. ნადიმის ხელმძღვანელი; 3. მეტისმეტად თამამი, უბოდიშო გოგონა; 4. იაპონური საავტომობილო კომპანია; 7. ბუნებრივი ნაკრძალი კახეთში; 8. ქართველი კინორეჟისორი ქალი; 12. სამეფო რეზიდენცია მადრიდში; 14. სახელმწიფო სამხრეთ ამერიკაში; 16. მათემატიკის ნაწილი; 17. უცოლშვილო ასაკოვანი მამაკაცი; 19. სუმოისტთა ტურნირი იაპონიაში; 20. იტალიის ფეხბურთელთა გუნდი.

თარაზულად: 5. თამბაქოს მწარმოებელი კუბური ფირმა; 6. ქართველ ქალთა ძველებური თავსაბურველი; 9. ბასკური ხალხური თამაში ბურთით; 10. თეატრალური პრემია საქართველოში; 11. მწვადის შეწვის დროს ჩამოყონილი ცხიმი; 13. ჰოლანდიური ყველი; 15. დიდი ქრისტიანული დღესასწაული; 18. მდინარის, ხეობის ჩამოშლილი ნაწილი; 21. წითელი ფერის ნახევრადტკბილი ქართული სამარკო ღვინო; 22. ტარზანის პერსონაჟის შემქმნელი ამერიკელი მწერალი; 23. ცხვრის ფარის მცველი დიდი ძაღლი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა